მარტი, 1939 წ. პარიზი. № 10 (88) Paris, Mars 1939

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლის გზა

ᲫᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲗᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲫ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ. ᲛᲣᲨ. ᲞᲐᲠᲢ. ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე. Directeur C. Gvardjaladzé.

შინაარსი: 1) ჩვენი კონფერენციის გამო; 2) გრ. ურატაძე—ერ. ებრაელიძე; 3) ბ. არიძე—საკ. კ. პ. (ბ) წევდება; 4) ვალ.—ერი და სახელმწიფო; 5) გრ. ურატაძე—ზოგი რამ; 6) ვალ. მკელაძე—საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში; 7) ისარი—საქართველოს ცხოვრებიდან; 8) მუშათა მოძრაობა; 9) საქ. სოც.-დემ. მ. პარ. უცხოეთში მყოფ ორგანიზაც. კონფერენცია.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

საქ. სოც.-დემ. პარტიის საზღვარგარეთელ ორგანიზაციების მეორე კონფერენციამ ამ თვის 11—12-ს გადახედა და გაიცნო იმ მუშაობას, რომელიც ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში უწარმოებია ჩვენი პარტიის აქაურ წარმომადგენლობას სოციალ. ინტერნაციონალში, თუ მის ცალკეკე სექციებში.

სოც. ინტერნაციონალში ჩვენი პარტიის წარმომადგენლობა იძულებული იყო ბრძოლა ეწარმოებია, განსაკუთრებით, რეს მეწშვეიკებთან, რომელთაც ჩვენ წინააღმდეგ აიყოლიეს რამოდენიმე ევროპიელი სოციალისტი.

საბჭოთა კავშირში ეროვნულ საკითხის ეხლა წამოყენება და მისი დადებითად გადაპრა რეს მენშევიკებთან ერთად და მათი ჩაგონებით ზოგ ევროპიელ სოციალისტებსაც (ბაუერი, ადლერი) რუსეთში ფაშიზმის, ინტერვენციის და საერთაშორისო ომის გამიმწვევ საშიშროებად დასახეს. ამიტომ ისინი მოითხოვდენ არა თუ საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხის მოხსნას და მასზე ზრუნვის მიტოვებას, არამედ მიზანშეწონილად სთვლიდენ, რომ ევროპის სოციალისტურ პარტიებს მოსკოვისათვის მხარი დაეჭირათ და ამ მიზნით მათ კომინტერნთანაც ერთი ფრონტი დაემყარებიათ. კიდევ მეტი. ამ ბოლშევიზანების აზრით საბჭოთა კავშირში მომუშავე არარუსი სოციალისტური პარტიებიც რუსეთთან მოსალოდნელ კონფლიქტის დროს ყოველივე პირობის გარეშე მოსკოვს გვერდში უნდა ამოდგომოდენ და თავიანთი ეროვნული მისწრაფებანი საბჭოთა კავშირის დაცვისათვის დაემორჩილებიათ.

კონფერენციას მოახსენდა, რომ ასეთი მდგომარეობის გამო ჩვენი პარტია იძულებული იყო წწარმოებია ინტერნაციონალში არა თავდაცვითი ბრძოლა, არამედ ის მოწინააღმდეგეთ თავს ესხმოდა ისინი სააშკარაოზე გამოყავდა. ამ მიზნით როგორც სოც. ინტერნაციონალს, ისე თვითეულ მის სექციას ეგზავნებოდა ჩვენი მემორანდუმები და ყველა ზემოდ აღნიშნულ საკითხებზე ხდებოდა ჩვენი საჯარო გამოსვლები.

სოც. ინტერნაციონალის მნიშვნელოვანი და ლეგალური სექციები საქ. სოც.-დემ. პარტიის ხაზით კომინტერნის და საბჭოთა რუსეთის მიმართ ხშირად ყოფილან კმაყოფილი და ამ კმაყოფილებას ისინი საჯაროდ კრებებზე, თუ თავიანთ პრესაში აღნიშნავდენ. ცხადია, კონფერენციამაც ჩვენი პარტიის ეს მუშაობა მოიწონა და ასეთივე გეზით მისი გაგრძელება ისურვა.

მაგრამ კონფერენციამ მოისმინა და განიხილა არა მხოლოდ ჩვენი პარტიის წარმომადგენლობის წარსული აქაური მუშაობა, არამედ მას სერიოზული მსჯელობა ჰქონდა აგრეთვე მიმდინარე მომენტის ყველა საკითხებზეც, რომლის შესახებ მის მიერ გამოტანილ იქნა შესაფერისი დადგენილებები, რომელიც ამავე ნომერში ქვემოთ იბეჭდება.

ამ მიმდინარე მომენტში ჩვენთვის მთავარი საკითხია ქართველი ერის მტრის უღლიდან განთავისუფლება და მისი სუვერენული უფლებების აღდგენა.

თავისუფალი საქართველო ეწეოდა ქართველი ხალხის სასარგებლოდ უდიდეს რეფორმატორულ მუშაობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველივე დარგში და ჩქარი ნაბიჯებით ის შეუჩერებლივ წინ მიდიოდა. მტრის უხეშმა და ტლანქმა ძალამ ჩვენი ქვეყნის ეს საქმიანობა შეაჩერა და ქართველი ერი

საპყრობილეში მოაქცია. ეს ტყვეობა უნდა შეწყდეს და ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ნიჭს და უნარიანობას უნდა მიეცეს ფართე გასავალი. გასაგებია, რომ ჩვენი აქაური ორგანიზაციების კონფედერაციაც თავის მომავალ მუშაობის პირველ რიგში, როგორც წინეთ, ისე ეხლაც ქართველი ერის განთავისუფლების და მისი სუვერენული უფლებების აღდგენის საკითხს აყენებს.

საქართველოს სუვერენულ უფლებებზე ზრუნვა უცხოეთში კი მინდობილი აქვს საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ნაც. მთავრობას, რომელსაც დღიდან მისი გადმოხვეწისა საქართველოს სოც.-დემოკრატია მუდმივად ნდობას უცხადებდა და მისი ნაციონალური დავალების შესრულებაში მხარს უჭერდა. ჩვენი პარტიის უცხოეთში მყოფი ნაწილიც დღეს კონფედერაციის სახით ჩვენ მთავრობას ამ საქმეში კვლავ მხარის დაჭერას აღუთქვამს და მას გვეფოში უდგას.

რამდენადაც დღეს ჩვენი პარტია საქართველოს ნაც. მთავრობასთან არის და მასთან ერთად ქართველი ერის მეობას იცავს, იმდენად ის მთელი სიმკაცრით ებრძვის მოსკოვის მთავრობას და რუსეთის ბატონობას ჩვენს ეროზე. აქედან, ცხადია, არ უნდა იქნას გამოყენენი ის დასკვნა, რომ ჩვენ რაიმე ცუდი გრძნობები ვგძნნდეს რუსის ხალხისადმი. წინანდმდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ეს ხალხიც განიცდის კრეპლის მესეფეობა განუსაზღვრელ ტირანიას და მოუთმენლად ელოდება მისგან განთავისუფლებას და თავის დაღწევას. მოსკოვის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ჩვენი თანაგრძნობა დაბეჩავებულ რუსის ხალხისკენაა. ამ ბრძოლაში ჩვენ მხარი უნდა დაუჭიროთ ყველა მათ, ვინც რუსეთში ხალხის ბატონობისათვის იღწვიან, მაგრამ ამავე დროს ქართველი ერის სუვერენულ უფლების აღდგენას ცნობენ.

თუ ერთის მხრივ სასურველია, რომ ბრძოლა გვიხდებოდეს ისეთ პირობებში, რომელ ზედაც ჩვენ შეგვეძლება რუსის ხალხთანაც. რომელიც დღეს ნაციონალურად არ არის სხვის მიერ დაჩაგრული, გვქონდეს კარგი დამოკიდებულება, მეორეს მხრივ აუცილებლივ საჭიროა მკვიდრი კავშირი არსებობდეს და ბრძოლის ველზე ერთად სამოქმედოთ იყვნენ დარაზმული ყველა ის არარუსი ერები, რომელნიც დღეს იჩაგრებიან საბეჭოთა კავშირში არა თუ პოლიტიკურად და სოციალურად, არამედ ეროვნულადაც. და ასეთი კავშირის და დარაზმულობის შესაძლებლობა უმთავრესად დამოკიდებულია იმისგან, რამდენად ყველა ეს არარუსი ერები მოახერხებენ ერთად იბრძოლონ ერთი საერთო მიზნისთვის და დროებით გვერდს აუხვევენ ყველაფერ იმას, რაც მათ ერთმანეთისაგან აშორებს და ანსხვავებს.

ასეთი საერთო მიზნისათვის ერთად ბრძოლა და ერთად ყოფნა გვმართებს, განსაკუთრებით, კაკაკასიელებს, რომლებიც მომავალში ერი ერი გაერთიანებული ოჯახის წევრობას ლამობენ. სამწუხაროდ ეხლა ყველას ეს ასე არ ესმის და ზოგი გზაბანეული კავკასიელნი, მათ შორის ქართველებიც, სწორედ მეტად სადაო და ერთმანეთის გამთიშველ რამეებს აყენებენ დღის წესრიგში. ყველაფერი ეს კი ფრიად ამწვავებს ეროვნულ წრეების ერთმანეთთან დამოკიდებულებას და ოდვევით ეშურებენ საერთო საქმის წარმატებით დაგვირგვინებას. კონფედერაციაც ასეთი არანორმალურ მდგომარეობის და მავნე მოქმედების წინააღმდეგ მიიპყრობს ყველას ყურადღებას.

დაბოლოს ერთი მთავარი საკითხი, რომელ მაც ცხოველი ახრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია კონფედერაციაზე, ეს არის ჩვენი საკუთარი ეროვნული ფრონტის გამლილიანება და სხვა ქართულ პარტიებთან ჩვენი დამოკიდებულება უცხოეთში.

დღიდან ჩვენ ქვეყნის მტრის მიერ ოკუპაციისა ქართული პოლიტიკური პარტიები მებრძოლ საქართველოში ერთმანეთ შორის განსხვავებას და უთანხმოებას ბროგბიდან განზე დებენ, ერთ საერთო ეროვნულ ორგანოში თანამშრომლობენ და საერთო ძალებით თავისუფლების მოპოვებას ცდილობენ. და თუ ასეთ თანამშრომლობას აქვს იქ სამშობლოში ადგილი, მეტადრე ასეთი რამ უნდა არსებობდეს აქ უცხოეთში—საგარეო ფრონტზე, სადაც არ უნდა იყოს და არც არის ასპარეზი ქართულ პარტიებთა და ჯგუფებთა შორის განსხვავების და სადაო საკითხების რეალიზაციისათვის.

როცა ჩვენ 1918 1920 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალურ ცნობისათვის ვმუშაობდით ევროპაში, მაშინ ყველა ჩვენი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელნი იღებდენ მონაწილეობას ამ მუშაობაში აქ და მათ შორის არავითარი შეურიგებლობა და ფაგა არ ყოფილა. არც თვით საქართველოში ყოფილა იმ დროს რაიმე დავა და გათიშვა პარტიებთა შორის საგარეო საქმეების სფეროში. და თუ ასე ვსაქმიანობდით მაშინ, როცა ჩვენი მდგომარეობა შედარებით კარგი იყო და დღეს იმის მგზავსი ჩვენთვის სანატრელია, რატომ არ შეიძლება, რომ ჩვენი ერის დღევანდელ მეტად მწვავე და ტრაგიკულ მდგომარეობაში ქართველი ემიგრაცია გაერთიანდეს და შეერთებულ ძალებით ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ ერთად იმუშაოს უცხოეთში? ეს, რასაკვირველია, შეუძლებელი არ არის, ამისათვის საჭიროა მხოლოდ შეგნება, რომ ჩვენ გვაქვს ერთი საერთო მიზანი და ამოცანა —ჩვენი ქვეყნის განთავისუფლება—და ამ ერთი მიზნისათვის აუცილებელია ჩვენი ერთად ყოფნა და ერთად მუშაობა.

ევროპაში მყოფ ქართველ სოც.-დემოკრატებს ასეთი შეგნება აქვთ და სწორედ ამიტომ ამის, რომ მათი სახლვარგარეთელ ორგანიზაციების კონფედერაციამ დაადგინა, რომ ის შზად არის ენერგიულად ხელი შეუწყოს ქართულ ემიგრაციის რიგების გაერთიანებებას და ამ საკითხში დგას ნ. ყორდანიას მიმართვის ბაზაზე.

ჩვენ ვისურვებდით მხოლოდ, რომ ამ გაერთიანებას საერთო ცდით და მონდომებით მალე ხორცი შეესხას და ის ცხოვრებაში გატარებულიყოს.



ერმალო ებრალიძე

სულ მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხ. ერმალო ებრალიძე. ერმალო იყო ლანჩხუთიდგან (გურია); ის იყო პროფესიითი ფერშალი, რომელსაც ზედ-მეტად «ღარიბების ფერშალს» ეძახდენ. ის სულ ახალგაზრდა იყო, როცა საზოგადოებრივი საკითხებით დაინტერესდა. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს მისი მეთაურობით საფერშლო სკოლის მოწაფეები დემონსტრატიულად მივიდენ სიონის ტაძარში ნინოობის დღეს, რაც მაშინ აკრძალული იყო, ვითომდა მისი ეროვნული ხასიათისათვის. საფერშლო სკოლის გათავების შემდეგ ის მსახურებდა სოხუმში, ჭიათურაში, რაჭაში, ქვემო-იმერეთში და ყველგან წრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ყველა ამ ადგილებში ის მონაწილეობას იღებდა არალეგალურ პარტიულ და რევოლუციონურ მუშაობაში. განსაკუთრებით დიდი იყო მისი მუშაობა ამ მხრით ქვემო-იმერეთში (სახინოვანი), სადაც მის მისვლამდე ასეთი ორგანიზაციები არც კი არსებობდა. აქ იქნა დატესაღებული და გადასახლებული ვიატკის გუბერნიაში. გადასახლების ვადის გათავების შემდეგ დაბრუნდა ლანჩხუთში და აქ დანიშნულ იქნა ფერშლად. ეს წლები (1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ) მეტად ძნიმე იყო საერთოდ, და კერძოდ გურიისათვის. აწყვეტილი რეაქცია უდიერად და უზეშად ურტყამდა ყველას და ყოველივეს, რასაც კი ცოტათი პროგრესიული ელფერი ედო. არალეგალური ორგანიზაციები დაშლილი და განადგურებული იყო; საპირო იყო მათი აღდგენა და ფეხზე დაყენება. შესდგა ეგ. წოდ. სარაიონო ორგანიზაცია, რომლის აღმასრულებელი კომისია შესდგებოდა სამი წევრისაგან. ერთი ამათგანი იყო ერმალო. ლანჩხუთის რაიონი იმ დროს შესდგებოდა 14 თემისაგან, სადაც ამ კომისიის ენერგიული მუშაობის წყალობით ძალიან მალე აღდგენილ იქნა სათემო ორგანიზაციები. ერმალო იყო ამავე დროს ამ სარაიონო ორგანიზაციის ხაზინადარიც და როცა ის სოფლებში მოგზაურობდა საეკონომო საქმეებზე—აკეთებდა და აწესრიგებდა პარტიულ საქმეებს, აგროვებდა პარტიულ გადასახადს და სხ. იმ დროინდელ ორგანიზაციებს სხვა მრავალ საქმეთა შორის უხდებოდათ ბრძოლა ყაჩაღებთან. ეს ბრძოლა გართულდა და გაფართოვდა განსაკუთრებით 1914—16 წლებში, როდესაც გვერცელდა დეზერტირობა. ამ გახულიგანებული პირებისაგან ხალხის დაცვა ჩვენი ორგანიზაციების ერთი უმთავრესი საზრუნავი გახდა. ერმალოს ამ საფერფლიაც თავის წვლილი აქვს შეტანილი. ყოველივე ამაებთან ერთად ერმალო დიდ მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ კულტურულ დაწესებულებებში, განსაკუთრებით ფართეთ აწარმოებდა ასეთ მუშაობას რევოლუციის შემდეგ და დამოუკიდებლობის ხანაში.

ჩვენი ქვეყნის დამარცხების და მისი ოკუპაციის შემდეგ ერმალო პირველი დღიდანვე ჩაება განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. ახლაც ისე, როგორც მეფის დროს, კვლავ აღდგენილ იქნა სარაიონო ორგანიზაცია, რომელიც აერთებდა 9 თემს. ერმალოს დაკისრებული ჰქონდა ქ. ლანჩხუთის ორგანიზაციაში მუშაობა და სხვებთან ერთად მისი ხელმძღვანელობა და ასეთად დარჩა ის აჯანყებამდე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი როლი თვით აჯანყებაში, თუმცა დაწვრილებით ლაპარაკი ამის შესახებ ჯერ კიდევ ნაადრევია. საკმარისია თუ ვიტყვით რომ აჯანყების დაწყების ცნობა (28 აგვისტო) იყო მის სახელზე, მან გადასცა ეს ცნობა მაშინვე ყველგან, მთელ რაიონში საჭირო პირებს და აჯანყებულთა დიდი ნაწილიც პირადათ მან გამოიყვანა. ერმალო იმდენად ფრთხილად და მოხერხებულად მუშაობდა, რომ კომუნისტებმა ვერც კი შენიშნეს მანამ, სანამ აჯანყების დროს აშკარად არ გამოვიდა და ღია აქტიობა არ დაიწყო.

აჯანყება დამარცხდა. ქვეყანა მტერმა დაიპყრო. ერმალოს დარჩენა საქართველოში შეუძლებელი იყო, სხვებთან ერთად ის მთებში გავიდა და საერთოდ ფიზიკურად ავადმყოფი—დიდის გამძლეობით უდრტვინველად იტანდა ყოველგვარ გასაჭირს, მხნეობდა და სხვებსაც ამხნევებდა. შემდეგ სხვებთან ერთად ის უცხოეთში გადმოიხვეწა, სცხოვრებდა საფრანგეთში, სოფ. ლევილში, სადაც გადაიცვალა მე-65 წელში.

ერმალოს არ უყვარდა ლაპარაკი, ყოყოჩობა, წინა რიგებში გამოჩენა. იგი იყო საქმის კაცი, მუშაობდა არა კარიერისათვის, არამედ მოვალეობისათვის. მშვიდი და წყნარი, გამტანი და ამტანი—იყო უაღრესად გულკეთილი და სათნოიანი. ამდენი წლის ამდენ გაჭივრებაში არ ახსოვს ვინმეს მისგან ერთი სიტყვაც კი საყვედურის თუ სასოწარკვეთილების. თავდაბალი და მორიდებული გაურბოდა ყოველივე იმას რასაც კი შეეძლო ვინმესთვის წყენა მიეყენებია. თვით გაჭივრებული მატერიალურად—ახერხებდა სხვასაც დახმარებოდა რითაც შეეძლო და როგორც შეეძლო; ავათმყოფობის დროს ხომ ვისაც მიწვდებოდა—თავდადებით უვლიდა და მეგობრული სითბოთი ტკივილებს უამებდა.

განშორდა სამუდამოდ ამ უკუღმართ წუთისოფელს ეს კეთილშობილი ადამიანი ისე, რომ ვერ ეღირსა მის სამშობლოს განთავისუფლებას და ვერც მისი ცოლშვილის ხილვას; განშორდა და განისვენა ლევილის საძმო სასაფლაოზე. მის დასაფლავებას, 19 თებერვალს, მრავალი მეგობრები, ამხანაგები და პატივისმცემლები დაესწრენ, მათ შორის ფრანგებიც. კუბო შემკული იყო ცოცხალი ყვავილებით. გვირგვინებს შორის იყო საქართველოს სოციალ-დემოკრ. ბიუროს, პარიზის სოც.-დემ. ორგანიზაციისა და «სოც. აზრი»-ს. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს ზ. ჩიჩუამ, პ. სარჯველაძემ და ვლ. მგელაძემ.

გრ. ურატაძე.

საქ. კ. პ. (ბ) წესდება

საქ. კ. პ. (ბ) მეთვრამეტე ყრილობის დღის წესრიგში ირიცხება ა. ჟდანოვის მოხსენება შესახებ იმ ცვლილებებისა, რომელთა შეტანა განზრახულია კომპარტიის წესდებაში. ამ მოხსენების თეზისები, მოწონებული ცენტრალურ კომიტეტის პოლიტბიუროს მიერ, გამოქვეყნდა გაზეთებში ჩვეულებრივი ბოლშევიკური ხმაურობით.

ყრილობა იხსნება 10 მარტს და ეს მოხსენებაც უთუოდ მოსმენილი იქნება ყრილობის მიერ ვიდრე ეს წერილი გამოვიდოდეს; განზრახული ცვლილებებიც ზოგი დამატებით თუ გამოკლებით დაკანონებული იქნება. ჩვენ რომ საქმე გვქონდეს ჩვეულებრივ წესებზე აგებულ პოლიტიკურ პარტიასთან და მის ყრილობასთან, უთუოდ აჯობებდა დაგვეცადა ყრილობის საქმიანობის დათავებისთვის და შემდეგ გამოგვეთქვა ჩვენი აზრი საბოლაოდ მიღებულ და პარტიულ კანონად ქცეულ ცვლილებების შესახებ. მაგრამ რუსული კომუნისტური პარტია, როგორც საზოგადოდ ცნობილია, განსაკუთრებული მოვლენაა; იგი არც კი შეიძლება ჩაითვალოს პარტიათ ამ სიტყვის ევროპიული მნიშვნელობით. პარტიას უნდა ქონდეს კოლექტიური აზრი, კოლექტიური შეხედულებანი შესახებ ყველა იმ საკითხებისა, რომელთაც მას ცხოვრება აყენებს, ე. ი. პარტიის აზრი და შეხედულებები უნდა გამოხატავდენ პარტიის წევრთა დიდი უმრავლესობის სულისკვეთებას. რუსულ კომუნისტურ პარტიაში ეს ასე არ არის. აქ პარტიის აზრათ ცხადდება ცენტრალურ კომიტეტის პოლიტბიუროს აზრი, ხოლო პოლიტბიუროს კანონმდებელი კი სტალინია; პარტიას რჩება უფლება მხოლოდ მოიწონოს ის, რაც სტალინმა ბრძანა. ამ ფარგლებს ვერ გადასცდება ვერც ყრილობის უფლება; ასეთ პირობებში ყრილობის მოწვევა უბრალო ფორმალობაა; იგი მონური მორჩილებით დაადასტურებს იმას, რაც სტალინს მოწონს, მიიღებს წესდების ყველა იმ ცვლილებებს, რომელნიც მისი დასტურით გამოქვეყნდა, როგორც ჟდანოვის მოხსენების თეზისები. აქედან ცხადია, რომ ჩვენ შეგვიძლია შესრულებულ ფაქტად მივიღოთ ჟდანოვის თეზისებით გათვალისწინებული წესდების ცვლილებანი.

დავიწყოთ იქედან, რომ წესდებას, როგორც ყოველ კანონს, იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი სრულდება. კარგი წესდების ქონა არ ნიშნავს უთუოდ კარგი წესრიგის ქონას. ურიცხვი ფაქტების მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ ბოლშევიკები წესდების თუ კანონის ამა თუ იმ მოთხოვნილებას უცქერიან, როგორც ყინულზე დაწერილ თამასუქს. ეგრედ წოდებულ სტალინის კონსტიტუციაში, რომლითაც დიდათ ამაყობენ კომუნისტები, მართლაც არის შეტანილი პიროვნების თავისუფლებისა და ხელუხლებლობის ჩინებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარანტიები, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ კონსტიტუციის დაწერის შემდეგ ოდნავადაც არ შენელებულა ბოლშევიკური ტერორი. წინანდებურად ხვრეტენ განუკითხავათ, ხშირად გაუსამართლებლად და ფარულად, ისე რომ ბევრ შემთხვევაში დახვრეტილის ჭირისუფალი თვეობით ვერ ტყობილობს, თუ რა ბედი ეწვია მის ახლობელს: გეპეუს სარდაფში ლაფავს სულს, შორეულ ქვეყანაში გადაისროლეს, თუ საიქიოს გაისტუმრეს. ამ შემაძრუწუნებელ პრაქტიკის შემდეგ ვინ დაიჯერებს, რომ პარტიის წესდებაში ამა თუ იმ შესწორებების შეტანა რამე ცვლილებას მოახდენს პარტიის ცხოვრებაში? ამ დაუჯერებელ ამბავს არავინ დაიჯერებს, თუ ის თავის მოტყუების სურვილით არ არის შეპყრობილი და განზრახ არ იბრმავებს თვალებს უდაო ფაქტების წინაშე.

თავისთავად ცხადი და უდაოა, რომ კომუნისტური პარტიის პრაქტიკა, ამ პარტიაში გამეფებული წესები ცოტა მეტ-ნაკლებობით იგივე დარჩებიან, რაც დღემდე იყვენ. მაშასადამე განზრახულ ცვლილებების არსებითი გარჩევა და მათი დაფასება იქნება უსაგნო ჭაპანწყვეტა. ჩვენ ეს ცვლილებები გვაინტერესებს, მხოლოდ როგორც დადასტურება იმისა, რომ სტალინის «სახელოვანი» პარტია ყოველგვარ სახისა და ჯურის ბოროტებათა ბუდე იყო და არის. ქდანოვის თეზისები გვიდასტურებენ, რომ კომუნისტური პარტიის წევრები ბიუროკრატიზმის მსხვერპლნი არიან; რომ პარტია გაივსო გახრწნილი და მტრულად განწყობილ ელემენტებით, რომლებმაც პარტიის მასიური წმენდა «პატიოსან მუშაკთა დევნისა და განადგურებისათვის გამოიყენეს»; რომ პარტიის წევრთა უფლებები არ არიან დაცული არავითარ თვითნებობისაგან; რომ არ არსებობს პარტიის წევრებისადმი ყურადღებით მიდგომა და მრავალი სხვა. მაგრამ ყველაზე უფრო დამახასიათებელია ქდანოვის მიერ დადასტურება იმისა, რომ კომუნისტური პარტიის წევრები დღემდე მოკლებული ყოფილან ისეთ ელემენტარულ უფლებებს, როგორიც არის:

ა) «გააკრიტიკონ პარტიულ კრებაზე პარტიის ყოველივე მუშაკი»;

ბ) «აირჩიონ და არჩეულ იქნან პარტიულ ორგანოებში»;

გ) «გამოითხოვონ პირადი მონაწილეობა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გამოაქვთ გადაწყვეტილება მათი საქმიანობის ან საქციელის შესახებ»;

დ) «მიმართონ ყოველგვარი შეკითხვით და განცხადებით ყოველ პარტიულ ინსტანციას, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსაც კი».

დასასრულ ქდანოვი ადასტურებს იმასაც, რომ დღემდე «ყველა რესპუბლიკანურ, სამხარეო და საოლქო ცენტრებში და აგრეთვე ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ყველა სამრეწველო ცენტრებში» პარტიულ ორგანიზაციების აქტივებს იწვევდენ დღემდე არა განსახილველად «პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა», არამედ მხოლოდ «პარადისათვის და ამ გადაწყვეტილებათა ფორმალურ-საზეიმო მოწონებისათვის».

ზედმეტია იმის ხაზის გასმა, რომ ყოველივე ეს ჩვენ დღემდეც კარგად ვიცოდით, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ კომპარტიის პოლიტბიუროს სირეგვნე ასე შორს წავიდოდა და თვითონ დაადასტურებდა სრულ გახრწნას და უუფლებობას იმ პარტიისა, რომელიც ითვლება კომუნისტური ხელისუფლების დასაყრდნობ ბერკეტად.

ზევით აღვნიშნეთ, რომ წესდებაში შესწორებების შეტანა ვერ მოახდენს ცვლილებას კომუნისტურ პარტიის ცხოვრებაში; არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითა. კომუნისტურ პარტიაში გამეფებული წრეები და მასში შეჭრილი გახრწნილება განუყრელი თანამგზავრია მთლიანად აღებულ კომუნისტურ სისტემისა. სანამ ეს უკანასკნელი არსებობს, იარსებებს სწორედ დღევანდელი სახისა და წესების კომუნისტური პარტია მიუხედავათ იმისა, თუ როგორი წესდებაც არ ექნება მას ქაღალდზე დაწერილი. ეს უთუოდ კარგად იციან სტალინმა და მისმა პოლიტბიურომაც. აქედან ცხადია, რომ ასეთის ხმაურობით წამოწყებულ წესდების შესწორებას სულ სხვა მოსაზრებანი უნდა ედოს საფუძვლად. ამ მოსაზრებების გამოცნობა არ არის ძნელი საქმე.

ვინც დაკვირვებით ადევნებს თვალყურს კომუნისტური ხელისუფლების, უკედ რომ ვთქვათ, სტალინის და მისი მორჩილი პოლიტბიუროს საქმიანობას, მისთვის ცხადი იქნება, რომ ამ საქმიანობის უპირველესი მიზანია არა ხალხის კეთილდღეობა, არამედ განწირული რეჟიმის დაცვა, მისი მაქსიმალურად გახანგრძლივება. სტალინის ყველა ღონისძიებანი აქეთკენ არის მიმართული. კომუნისტური რეჟიმის მთავარი ბურჯი იყო და არის კომუნისტური პარტია. უკანასკნელი წლების განმავლობაში ეგ ბურჯი შეირყა, მასში შეიპარა ეჭვები, დასუსტდა რწმენა, დაჭკნა და გაუფერულდა იდეალიზმი. სტალინმა პარტიას თავი მოკვეთა, სული და ტვინი ამოართვა: მთელი ძველი ბოლშევიკური გვარდია ფიზიკურად მოსპო. კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური რეჟიმის ხუროთ მოძღვარნი გამოაცხადა დივერსანტებად, მავნებლებად, უცხო სახელმწიფოების აგენტებად, ჯაშუშებად, გამცემლებად და მათ თავები გააგდებია. პარტია მოიცო საშინელმა ტერორმა. არც ერთი კომუნისტი არ არის დარწმუნებული ხვალინდელ დღეში, არ არის დარწმუნებული, რომ მას სტალინი ან ამ უკანასკნელის ადგილობრივი სატრაპი თავის ცოდვებს მას არ გადააბრალებს და წუთისოფელს სამუდამოდ არ გამოასალმებს. ყველას მობეზრდა სტალინის გაღმერთება და მის წინაშე მუცლით ხოხვა; საჯაროდ მას ადიდებენ, ოსანა მაღალთაშინას უგალობენ, გულში კი ეზიზღებათ, მისი სიძულვილით ყელამდე სავსე არიან. ასეთი პარტია დასაყრდნობ ბერკეტათ უკვე არ გამოდგება; საკმარისი იქნება რაიმე გარემოებამ შეარყიოს არსებული რეჟიმი, რომ კომუნისტური პარტიის დაგლახებული და გახრწნილი წევრები ათასობით და ათი ათასობით გადაუდგენ პარტიას და სტალინის რეჟიმის მესაფლავეთ ამოუდგენ გვერდში.

სტალინი არც ისეთი სულელია, რომ ყველა ამას არ ხედავდეს და არ გრძნობდეს იმ საშიშროებას, რომელიც მას და მის რეჟიმს მოელის. ეს საშიშროება განსაკუთრებით დიდია დღეს—საერთაშორისო გართულების ხანაში. ყოველ წუთშია მოსალოდნელი სამხედრო კონფლიქტმა იფეთქოს და საბჭოთა კავშირიც აღმოჩნდეს ჩათრეული საერთაშორისო ომის ქარცეცხლში. ამ შემთხვევაში შეიქმნება სწორედ ის მდგომარეობა, რომელსაც მოუთმენლად მოელიან საბჭოთა კავშირის არა მარტო უპარტიო მასები, არამედ კომპარტიის ბევრი წევრიც. დაიბადება სტალინისა და მისი რეჟიმის აუცილებელ დასამარების იმედი. და აი, სწორედ ეს საშიშროება აიძულებს სტალინს პირი იბრუნოს კომპარტიისაკენ და მას რამე წაუგდოს, რომ მით მისი გული და სული თავისკენ შემოაბრუნოს. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სტალინის პირის ბრუნება კომპარტიისაკენ არის არა გულწრფელი და რეალური, არამედ მოჩვენებითი. სტალინს არ შეუძლია გულწრფელად და საბოლაოდ მიანიჭოს კომუნისტურ პარტიას თუნდაც სრულიად ელემენტარული უფლებები, არ შეუძლია დაანებოს პარტიის წევრს, რომ მან შეძლოს უშიშრად და თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, თავისუფლად აირჩიოს ვინც მას უნდა, თავისუფლად მოიწონოს თუ დაიწუნოს ყოვლის შემძლე მდივნების საქმიანობა. შინაპარტიული დემოკრატია კომპარტიაში გულუბრყვილოთა თვალის ახახვევი ფიქცია იყო ყოველთვის და აწიც ასეთად დარჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერც სტალინი და ვერც მისი ყურმოჭრილი მონა მდივნები, რომლებიც დატვირთულნი არიან უამრავი ცოდვებით, ერთ წუთსაც ვერ დარჩებიან თავიანთ ადგილებზე. ეს კარგად იცის სტალინმა და ხერხს მიმართავს იქ, სადაც ღონე არ გამოდგება. ეს მორიგი ხერხია კომპარტიის წესდებაში ცვლილებების შეტანა და მის ირგვლივ ბოლშევიკური კორიანტელის ატეხა. მაგრამ ეს ხერხი წყალწაღებულის ხავსია; გულუბრყვილონიც კი მალე დარწმუნდებიან, რომ წესდების ახალი ცვლილებები მხოლოდ ქაღალდზე დარჩებიან და კომპარტიაშიც აწიც ისეთივე დიქტატურა იქნება გამეფებული, როგორიც მძვინვარებს მთელ საბჭოთა კავშირში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ საბჭოთა კავშირი საგარეო კონფლიქტში იქმნა ჩათრეული, მისთვის კომპარტიაც ვერ იქნება საიმედო მოკავშირე.

სტალინს და მის რეჟიმს ახასიათებს ორი მეთოდი: მეთოდი დაშინებისა და მეთოდი მოტყუებისა; «მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიოსი მამა» დროსა და გარემოების მიხედვით ამ ორი მეთოდიდან ხან ერთს მიმართავს და ხან მეორეს. იგი თავის გადარჩენას ლამობს შიშით შექმნილ სიყვარულით და მოტყუებით მოგებულ გულით. მაგრამ პირველს წაიღებს პირველივე ქარი, ხოლო მეორეს პირველივე მარცხი აქცევს შურისძიების ცეცხლით ანთებულ გულად.

ბ. არიძე.

ერი და სახელმწიფო

კაცობრიობის განვითარება ნელი ნაბიჯით, მაგრამ პირდაპირი გზით, საზოგადოებრივად აუცილებელი დისციპლინის და კერძო პიროვნების თავისუფლების შეთავსების ხაზზე მიმდინარეობს. გასულმა საუკუნემ სინამდვილედ აქცია საფრანგეთის სიღრმიდან ამოკრეფილი ადამიანის და მოქალაქის უფლებრივი პრინციპები. ამ შემეცნებითი რევოლიუციის წყალობით იყო, რომ ადამიანი მთელი თავისი გაქანებით ეროვნული ჩაგვრის მძლავრ კედლებს დაეტაკა. პიროვნების უდაო პრეროგატივების მტკიცე საფუძველზე დაშენება იმპერატიული აუცილებლობით მოითხოვდა ამ კედლების გარღვევას და ერთა შორის სამართლიანი და უფლებრივი დამოკიდებულების დამყარებას. არსებობისათვის ბრძოლაში ერები ისევე, როგორც პიროვნებები, ეშვებიან ყველა თავიანთი განმასხვავებელი თვისებებით და სპეციფიური მოთხოვნილება-მისწრაფებებით. ენით, ზნე-ჩვეულება-ტრადიციებით და ინტერესებით დაშორებულ და განვითარების სხვა და სხვა დონეზე მყოფ ერთა მონოლიტურ პოლიტიკურ ორგანიზმში გაერთიანება აუცილებლად ემყარება ძალმომრეობას, რადგან მათი ცალკეული ასპირაციების ერთ, განუყოფელ კანონმდებლობით უზრუნველყოფა ობიექტურად შეუძლებელია.

დემოკრატიულ ეპოქაში ადამიანი დაეუფლა თავის თავს, როგორც დამოუკიდებელს და უმაღლეს თვითღირებულებას, რამაც მოსპო ძალის პრიმატობა საურთიერთო დამოკიდებულების სფეროში. ამდენად, დემოკრატიულ-პროგრესიული იდეების განალდება საფუძვლად დაედო ერთა გამოფხიზლებას, მათი ინდივიდუალობის განმტკიცებას. ცხადია ეს იმას ნიშნავს, რომ ერი ახალი წარმოშობისაა. თავიანთ სახელმწიფოში გაერთიანებული ერები საუკუნოების არსებობით ხასიათდებიან; კაცობრიობის ისტორია მხოლოდ მათი ისტორიის შეჯამებას წარმოადგენს, მაგრამ აქ საქმე გვაქვს ცნების ფსიქოლოგიურ შინაარსთან. ერს ახასიათებს ენა, ტერიტორია, წარმოშობა, ტრადიციები. სწორედ ეს საერთო თვისებები და სულიერი ავლადიდება ქმნიან მისი ერთ პოლიტიკურ სხეულად ჩამოყალიბების საკმაო ობიექტიურ საფუძვლებს.

ცალკე პიროვნებათა ემანსიპაციას არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა ერის, როგორც კოლექტივის თვითშეგნების ამაღლება და თავისი ინდივიდუალობის რეალური შემეცნება; და ამრიგად, ერის ობიექტიურ არსებობას გაუჩნდა ურყევი ფსიქოლოგიური საფუძველი. ეს საფუძველი ახალი დროის პირმშო შვილია. რომ ძველ ხალხთა პოლიტიკურ გაერთიანებას სწორედ ეს ატრიბუტი არ გააჩნია ეს იმითაც მტკიცდება, რომ ისტორია ერთობ მდიდარია ასი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილიაციის მაგალითებით. თითქმის ყველა დღევანდელი ერი ამ ფენომენის შედეგად მოგვევლინა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს პროცესი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნების უნარი.

ავსტრო-უნგრეთის და რუსეთის მაგალითები ცხადჰყოფენ, რომ დღევანდელ ერთა ასიმილიაცია მხოლოდ მათი ფიზიკური განადგურებით შეიძლება. ამ ამოცანას ჯერ ჯერობით წარმატებით ასრულებს კიდეც ახალ ქურქში გახვეული დღევანდელი რუსული იმპერიალიზმი.

ცხადია, ისტორიული ერები ასეთი განადგურების პერსპექტივას გულგრილად ვერ შეხვდებიან. ეს იქნებოდა გაუგებარი დანაშაული ჯერ თავისი თავის და, ბოლოს, კაცობრიობის წინაშე, რამდენადაც ყოველ ეროვნულ ერთეულს სპეციფიური ისტორიული მისია აბარია. თავის გადარჩენის ინტერესი უკარნახებს მათ გამონახონ ეროვნული თავდაცვის შესაფერისი საშვალებები. ასეთი საშუალებათაგანია ცალკე ერის ცალკე სახელმწიფოს ფარგლებში მოთავსება. ერთი ერი, ერთი სახელმწიფო. ეს ლოზუნგი ინტელიგენციის რომანტიული ფანტაზიის ნაყოფი არაა, არამედ გარდაუვალ სინამდვილით მოცემული კატეგორიული იმპერატივი. ის დამუშავდა წარსული ბრძოლების და პოლიტიკურ-იდეოლოგიურ რევოლიუციების პროცესში, რომლისათვის რუსეთის ნიადაგი მეტად მწირი და გამოუდეგარი აღმოჩნდა. ცნობილია, რომ სახელმწიფო იძულებითი ორგანიზაციაა, რამდენადაც მისი ფუნქცია მოქალაქეთა ურთიერთობის უფლებრივ ნორმებში ჩამოყალიბებით განისაზღვრება, ხოლო თუ ამ იძულების წყარო უცხო სახელმწიფოა, მაშინ პოლიტიკურ ძალადობას ეროვნული ჩაგვრა ამწვავებს. აორკეცებს. ამ გარემოებას კი არ შეიძლებოდა შერიგებოდა ჩვენი დროის ადამიანთა საზოგადოება. ძველ ღირებულებათა გადაფასების ტენდენციებმა ვერ შეარყიეს მხოლოდ რუსეთის ინტელიგენციის კონსერვატიული აზროვნება; ვერ შესცვალეს რუსეთის ტრადიციული, იმპერიალისტური კონცეპციები. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ შემეცნებითი ანაქრონიზმის გაბატონებაში არავითარი წილი არ უდევს ბედშავ რუსის ხალხს. მართალია, ამბობენ: რასაც დასთესავ, იმას მოიმკი, მაგრამ მართალია ისიც, რომ რუსის ხალხს არაფერიც არ დაუთესავს, ხოლო იმკის კი მონობას და უბედურებას. ეს მისი ბრალი არაა, არამედ მისი უბედურება. ჯერ მის აღსაზრდელად არავის არ მოუცლია; არავის არ უცდია მისი თანამედროვეობასთან დაახლოება და ამიტომ რუსულ საზოგადოებრიობაზე ლაპარაკი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ან სიყალბეს და ან გაუგებრობას ემყარება. ეს საერთო ჩამორჩენილობა განსაზღვრავს ამ ხალხის დამოკიდებულებას საგნებთან და მოვლენებთან. ამითვე აიხსნება ის მეტად კურიოზული ფენომენი, რომელსაც ადგილი აქვს რუსეთში.

ყველა ისტორიული ერი იზრდება და ვითარდება ჯერ თავის თავად; თავისი მიღწევებით, დამსახურებით ჰპოულობს იგი იმპერიის დაარსების უფლებას. ჯერ ერი, ეროვნული სახელმწიფო, მერე იმპერია. რუსეთში კი ეს პროცესი სრულიად შებრუნებულია. რუსი ადამიანი, ჩამორჩენილი პიროვნულად, მოკლებულია ეროვნული თვითღირებულების ინტენსიური განცდის საფუძვლებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას იყოს შეურიგებელი იმპერიალისტი. საუკუნეების მანძილზე მისი ბედის გამგე ავტოკრატია, ცოდნის მაგიერ ჰარბად აწვდიდა მას იმპერიალისტურ საწამლავს და ქმნიდა ეროვნული განდიდების ხელოვნურ სულისკვეთებას. რუსის სამშობლოა ყველგან, სადაც რუსეთის ხმალი მიწვდება, ის მზად არის დასთმოს სიცოცხლე სამშობლოსათვის, ხოლო რა მოთხოვნილებები უნდა წაუყენოს მან ამ უკანასკნელს, ეს მისთვის სრულიად გაუგებარია, რადგან იგი აღზრდით იმპერიალისტია და არა თავის სამშობლოს ცნობიერი მოქალაქე. მთელი კულტურული რევოლიუცია, ორ უკანასკნელ საუკუნეში რომ რუსეთმა გაიარა, ხდებოდა ხალხის გარეშე, მისი სრული მივიწყების ნიადაგზე. აზროვნება, მეცნიერება, ადამიანური ცხოვრების საშვალებანი რჩეულთა პრივილეგიას შეადგენდენ. ინტელიგენცია მოსწყდა ხალხს და თავის კასტიურ მიუკარებლობაში ჰერმეტიულად ჩაიკეტა. ხალხი ბრიყვია. მისი მოვლა რჩეულთა მოვალეობაა. ასეთი იყო და არის ამ პრივილეგიური წოდების საზოგადოებრივი კონცეპცია. აღსანიშნავია, რომ ამავე გზას მტკიცედ ადგია ჩვენს პერიოდში აღმოცენებული, «ულტრა-რევოლიუციონური» მიმდინარეობაც, ბოლშევიზმის სახით. ის შესანიშნავი თანმიმდევრობით ანხორციელებს არისტოკრატიული ინტელიგენციის ამ კლასიკურ დანაბარებს. ამ ხაზზე ერთდებიან ყველა რუსული ინტელიგენტური ძალები, მონარქისტებიდან კომუნისტებამდე. ასეთ პირობებში დემოკრატიულ პრინციპებზე და, მით უფრო, ერის თვითგამორკვევის უფლებაზე ლაპარაკიც უაზრობაა. დაჩაგრულ ერებისათვის ეს ქმნის მეტად სახიფათო მდგომარეობას, რამდენადაც რუსეთის ხალხის ჩამორჩენილობა და ინტელიგენციის იმპერიალისტუ-

რი ამბიციები განადგურებას უქადიან მათ ეროვნულ მიდრეკილებათ. რუსეთთან ვასალური დამოკიდებულება ერთობ ძვირი დაუჯდათ მის კედლებში ჩაკეტილ პატარა ერებს. საქართველომ მასთან მეგობრობით სცადა ისტორიული მტრების მოგერიება, მაგრამ ეს ცდა ტრაღიკულად დაბოლოვდა. ანგარიში ყალბ მოცემულზე დარჩა აგებული. გამართლდა სოლომონ ლეონიძის სიტყვები: სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს ოდეს თვისება, ერთა მის შორის, სხვადასხვაობდეს-ო. თვისებით, ისტორიით და ინტერესით სხვადასხვა ერთა დამოკიდებულება მეგობრობაზე ვერ აშენდა. საქართველოს გულწრფელ ნდობას და მეგობრობას რუსეთმა მზაკვრობით, მუხანათობით, ძალადობით და ღალატით უპასუხა. ამ ერთა გზა იმ თავითვე გაიყარა. ეს კონსტატაცია მოახდინეს ყველა წვრილმა ერებმა; ამას ვერ ურიგდება მხოლოდ რუსეთის ინტელიგენცია.

მილიუკოვი ცდილობს ერთა თვითგამორკვევის უფლება, მათ სრულ გამოყოფამდე, აბსურდამდე დაიყვანოს. პირველობა და განუსაზღვრელი ღირებულება მიეკუთვნება მხოლოდ პიროვნების თავისუფლებას, ხოლო თუ ერის თვითგამორკვევის პრინციპის აბსოლიუტურობას მივიღებთ, მაშინ უნდა გამართლებულ იქნას პანსლავიზმი, პანთურქიზმი, პანგერიანიზმი და სხ.—ამბობს იგი. ცხადია, ამ ქვეყნად აბსოლიუტური კატეგორიები ხორცს ვერ ისხამენ და ამდენად, აბსურდამდე შეიძლება დაყვანილ იქნას ყოველგვარი ჭეშმარიტება, მით უმეტეს თუ მის ყალბად გაგებას ინტელიგენტის უნიადაგო კაზუისტური ჭირვეულება აძლიერებს. ამავე გზით შეიძლება გაყალბებულ იქნას თვით ადამიანის თავისუფლებაც. მაგალითად, ლოღიკურია ასეთი მსჯელობა: ადამიანი თავისუფალია, კლეპტომანიც ადამიანია, მაშასადამე ის თავისუფალია. კლეპტომანის თავისუფლება გულისხმობს ქურდობის თავისუფლებას, რამდენად ეს მისი სულის აუცილებელი მოთხოვნილებაა, მაგრამ იგი ხომ არღვევს იმთავითვე ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ ნორმებს და ნიადაგს აცლის ნამდვილ თავისუფლებას. ამ სილოგიზმის მცდარობა მისი გამოსავალი წერტილის სიყალბით აიხსნება, რადგან წინადადება—ადამიანი თავისუფალია არ არის სრული და უნდა შევსებულ იქნას: იმდენად, რამდენადაც ამ თავისუფლების საზღვარი მის მზგავს ადამიანთა თავისუფლების ზღურბლზე მდებარეობს. ასევე ითქმის ერის თვითგამორკვევის უფლებაზე. ეს უფლება ემყარება თვით ერის არსებობას ყველა მისი განმასხვავებელი თვისებებით, ინტერესებით და კულტურით მაშინ, როდესაც პანსლავიზმის და პანთურქიზმის მამოძრავებელი ფაქტორი იმპერიალისტური მიზან-განწყობილებაა. განა ყველა სლავი ერთი ეროვნებისაა ან, ყველა მუსულმანი თურქი? რასა და რელიგია, თავის თავად, ხომ ეროვნული ინდივიდუალობის გადამწყვეტ ფაქტორებად ვერ ჩაითვლებიან. მილიუკოვიც გრძნობს, რომ ასეთი იოლი საპოლემიკო ფანდებით ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ ბრძოლა, სხვა რომ არა იყოს რა, სერიოზულობას მოკლებულია და წვრილ ერთა ფიზიკური სისუსტის დასაბუთებით ცდილობს დაამტკიცოს ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელების შეუძლებლობა. საქმე ეხება, ცხადია, რუსეთის იმპერიალისტურ კედლებში მომწყვდეულ ერებს. რასაკვირველია, ერის ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის არ კმარა მარტო მისი ეროვნული თვისებების და განსაკუთრებული ეკონომიურ-კულტურული ინტერესების პლატონიური ქადაგება. თავისუფლების მოპოება საკითხს არ სწყვეტს, უფრო რთულია მისი შენარჩუნება და ურყევ პოლიტიკურ ნიადაგზე დაშენება, რომლის ძალაც პატარა ერებს არ გააჩნიათ. რუსეთის დაჩაგრულ ერთა ბედი ტრაღიკულია იმდენად, რამდენადაც პროგრესიული იდეები მის სინამდვილეში ვერ იჭრებიან. ისინი განკერძოებული ბრძოლით რუსეთს თავიდან ვერ მოიცილებენ, ხოლო ნებით არც ერთი რუსეთი დაპყრობისა და ექსპლოატაციის პოლიტიკაზე ხელს არ აიღებს. ძალის წინააღმდეგ თუმცა ნამდვილი, მაგრამ მორალური ღირებულებების ამუშავება უსაფუძვლო და უსარგებლო ილიუზიაა. ძალას ძალა უნდა დაუპირისპირდეს, ძალა რეალური, პროგრესიული, თავისი დანიშნულების სერიოზულობის გაგების სიმაღლეზე მდგომი. პრომეთეს ერების მოძრაობა ამ აუცილებელი ფაქტორის პრაქტიკული ზრდის განსახიერებაა. ეს ის კონაა, რომელმაც უნდა შექმნას ეროვნებათა დამოუკიდებელი არსებობის საფუძველი და შესაძლებლობა.

ამდენად, პრომეთეიზმი ისტორიული აუცილებლობის ღვიძლი შვილია. მართალია ამას ვერ შეურიგდება რუსეთის იმპერიალისტური ინტელიგენცია, მაგრამ ისტორიას თავისი გზა აქვს და ეს გზა ეროვნული თავისუფლების აღმართზე გადაივლის.

ვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ო გ ი რ ა ბ

«კავკასია» ძალიან შეწუხებულია, ნერვიულობს, შფოთავს, იგინება, იკბინება, იმუქრება და სიცხენაკრავივით—ფერთმა იცის რაებს ბოდავს. რატომ ასე ღელავენ ბატონი დაღესტანლები? რა მოხდა? მოახდა ის, რომ ქართველ ემიგრაციაში დაისკვა საკითხი გაერთიანებისა, შეკავშირებისა. საერთოდ და შეთანხმებით მუშაობისა.

დღემდის ასეთი გაერთიანების და შეთანხმების წინააღმდეგ, ცხადათ თუ მალულად, მუშაობდენ და იბრძოდენ ისინი, ვისთვისაც კი გაერთიანება სახიფათო იქნებოდა. ესენი ჩვენი ქვეყნის დამპყრობნი და ოკუპანტები. დარღვეული ი ინტერესი იყო და არის და კიდევაც უწყობდენ ხელს ამას ყოველივე საშვილებით. მათ კარგად იციან, რომ მუდმივი ჩხუბი და აყალმაყალი ემიგრაციის საერთო მუშაობას პარალიზაციას მოუხდენს და მათაც ხომ ეს უნდოდათ და უნდათ. ამიტომ კომუნისტების ასეთი წადილი გასაგებიცაა და ბუნებრივიც.

მარა, რატომ გაერთიანებისათვის მუშაობა ასე ურდვევს მყუდროებას და სულიერ სიმშვიდეს «კავ.» მოკალთებულ ქართველ ემიგრანტებს!? რატომ ასე გაშმაგებით იბრძვიან ისინი ამის წინააღმდეგ!? რა უნდათ და ვისი ინტერესი აღაპარკებს ამათ!? თუ ჩვენი ქვეყნის—ნუ თუ არ იციან რომ «ძალა ერთოა ბაშია», რომ ჩხუბსა და აყალმაყალს შეთანხმება სჯობია?! დავიჯეროთ ყოველივე ეს უგიცობით მოსდით? არა, ამის დაჯერება ერთობ ძნელი იქნებოდა, ამიტომ მათი ასეთი თავშეუკავებელი და სისტემატიური ლაშქრობა ემიგრაციის გაერთიანების წინააღმდეგ უნდა აიხსნას სულ სხვა მოტივებით და ეს მოტივები იმდენად ნათელია, რომ ჩვენი მკითხველი უჩვენოთაც ადვილად გაიგოს ეს ამაში.

«კავკასიასა» მთელი უკანასკნელი ნომერი ერთთავად ამ გაერთიანების წინააღმდეგ არის მიმართული, თითქმის ყველა მისი თანამშრომელი ამ საკითხს უტრიალებს და მის ჩაშლაში ერთიმეორეს ეცილება. ყველაფრიდან სჩანს რომ ამაში ისინი დიდათ არიან დაინტერესებული და ამას აღარც მალავენ, უკეთ, ვეღარ მალავენ. ყველაზე უფრო ამ «პატიოსან კრებულს» აშფოთებს ნ. ყორდანიას მოწოდება ქართველი ემიგრაციისადმი. მთავრობის თავმჯდომარე მოაგონებს რა ემიგრაციას თავის მოვალეობას და უთვალისწინებს რა თავის ქვეყნის მდგომარეობას—მოუწოდებს მათ თანხმობით მუშაობისაკენ. ამ მოწოდებას გამოეხმაურა ყველა ჯგუფები, ყველა თანამგრძნობნი შეხვდა და კიდევაც შეუდგენ შეთანხმების ისეთი ფორმების გამომუშავებას. რომელიც გაართიანებს ყველა იმათ, ვისაც მართლა გულწრფელად სწადია თავის ქვეყნის სამსახური.

მტრულად შეხვდა ამას მხოლოდ «კავკასია». მას არ მოსწონს, პირველ ყოვლისა ის, რომ მოწოდება ხელნაწერია და არა დაბეჭდილი და კითხულობს: რატომ ის ჯერ გაზეთებში არ დაიბეჭდა. მარა ეს ხომ წერილია, გაგზავნილი პარტიებისადმი, მათ განსახილველად და მათ მსჯავრ დასადებად და რატომ იყო საჭირო მისი წინდაწინ გაზეთებში დაბეჭდვა—ვერ გაგვიგია. ამ მოწოდებას ის ეძახის «უცხაურ დოკუმენტს» და უმატებს:—ის «ჩვენს რედაქციას მოუვიდა»-ო. უცხაური თუ გნებავთ სწორედ ესაა. ვინ გაუგზავნა მას ეს დოკუმენტი? რომ ავტორსა არ გაუგზავნია და არც შეეძლო გაგზავნა—ეს უდაოა. ცხადია «კავ.» სტყუის ჩვეულებრივად როცა სწერს თითქოს ეს მოწოდება მისთვისაც გაეგზავნთო.

ამ მოწოდებიდან «კავკ.» ოღებს და შავი ასოებით ბეჭდავს ფრაზას: «ჯერ ერი, შემდეგ კლასი, ჯერ ეროვნული ბრძოლა, შემდეგ სოციალური ბრძოლა» და შენიშნავს—ყორდანია ახლა მიხვდა ამასო. «ეს ცნება ახალია თვით ყორდანიასათვის, როგორც მარქსისტისათვის, მაგრამ იგი ახალი არ არის საქართველოსათვის»-ო და სხვ. საქართველოსათვის ეს ცნება მართლაც არ არის ახალი. მარა ასეთ საქართველოს ამირეჯრიბ-გაბაშვილები არას დროს არ ეკუთვნოდენ. მარქსისტები არას დროს არ აყენებდენ კლასს ერის წინ თუ მაზე მაღლა; მათ კარგად ესმით რომ ერი არის მთელი. კლასი კი ნაწილი და სადაც არაა ერი, არ შეიძლება იყოს კლასიც. ერთი სიტყვით ჯერ ერი და მერე კლასი. საქარ. სოც. დემოკრატიან თავის ჩასახვის პირველი დღიდანვე მკაფიოთ და გარკვევით აღნიშნა იმავე ნ. ყორდანიას პირით თავის სადკალთაციო წერილში «ეკონომიური წარმოება და ეროვნებაა», თუ როგორ ესმის მას ერი და კლასი და როგორი ურთიერთობაა მათ შორის. და თუ დღეს ყორდანია იმეორებს ამას, იმიტომ, რომ ეს უბრალო ეუმშარიტება დღესაც არ ესმის ბევრს და ის სწორედ ამათ მოაგონებს—ჯერ ერი და მერე კლასიო,თუმცა «კავ.» ამას თავის დღეში ვერ გიგიგებ და ვერც ამაღლდება იქამდის, რომ შეიძლოს თავის კლასიური ინტერესები ეროვნულ ინტერესებს დაუშორჩილოს. ესენი თავის კლასიურ ინტერესებს, უკეთ, თავის კლასიურ ეგოიზმს მუდამ და ყოველთვის აყენებდენ და აყენებენ ეროვნულ ინტერესებზე მაღლა და სწორედ ეს კლასიური ეგოიზმია რომ მათ უკარნახებს დაარუქონ თავის ქვეყნის ნაწილები და მით იყიდონ თავის ბატონობა და თუ ეს არ მოხერხდა—ქვეყანაც წყალს წაუღია და მისი დამოუკიდებლობაც. ასეთმა ხალხმა არა ერთხელ დაღუპა საქართველო, არა ერთხელ აათხრა ის თავის ბატონობის დასამკვიდრებლად შემოყვანილი უცხო ჯარებით და როცა დღესაც ასეთ ცდებს ვხედავთ—ქართველი ემიგრაციის მოვალეობაა გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლებანი, გაერთიანდენ, შეკავშირნენ და საერთო ძალით და მოკმედებით გასავალი არ მისცენ «კავ.»-ს. მუხანათურ ზრახვებს. და თუ ქართველი ემიგრაცია ვერ შესძლებს ამას—მით უარესი მისთვის. მარა, ჩვენ იმედი გვაქვს ემიგრაცია არ მიიარმეევს ასეთ სარჩაკარს არც კომუნისტებს და არც «კავკასიას» და თავის სოლიდარული

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსვლებით და შეთანხმებული მოქმედებით ერთ-ხელ და სამუდამოდ დაუკარგავს მათ ყოველგვარ ხალისს ემიგრანტული ძალების დაშლისას.

ამავე თემას ეხება მეთაური წერილიც, სათაურით: «ინ იქნებოდა», აღსაღსე ჩვენდამი ათასგვარი ცილისწამებით. ავსებითად ამ წერილზე პასუხი მიგვანია ზედმეტად, ვიტყვეთ მხოლოდ მისივე ავტორის სიტყვებით: რა იქნებოდა რომ ამ წერილის ავტორს იოტის ოდენა პატიოსნება ჰქონოდა? იქნებოდა ის, რომ ასეთ ბინძურ წერილს არ დასწერდა. რა იქნებოდა რომ «კავ.» რედაქციას ელემენტარული ოიგიანობა ჰქონოდა? იქნებოდა ის რომ ასეთ უმსგავსო წერილს არ დაბეჭდავდა. რა იქნებოდა რომ ამ, უკაცრავად პასუხია, გაზეთის თანამშრომლებს თავის ქვეყანაზ უყვარდეთ? იქნებოდა ის რომ მის ნაწილებს არ გაარქვეტდენ. რა იქნებოდა რომ... მარა კმარა. ნიღაბი ჩამოხსნილია. ეს ხალხი აწი ვერავის შეიყვანს შეცდომაში.

სხვადასხვა ავტორების წერილებში დიდის ამბით არის მოყვანილი მოწოდებიდან და შავი ასოებით დაბეჭდილი მოთხოვნა—«საქართველოს დღეს არსებული საზღვრების ხელუხლებლობა» და გამარჯვებული კილოთი უმატებენ: «ეს «ნაციონალური ბანაკი» უნდა მიესიოს «კაკკახს»—საზღვრების ცნობისათვის, რომელსაც სცნობს თვითონ ყორდანიაო.-ო. «კავ.» ცდილობს დაარწმუნოს თავის მკითხველი თითქოს ყორდანიაც იმასვე ამბობდეს საზღვრების შესახებ, რასაც ამბობს ის. მარა ასეთი თვალთმაქცობით ვეფარავის მოატყუებენ. არსებული საზღვრების აღნიშნავ სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ რაც ამ საზღვრებს გადაღმა ის უთუოდ სხვისია. ეს «კაკკასიაა» რომ ამტკიცებს—რაც არსებულ საზღვრებს გადაღმა ეკუთვნის არა საქართველოს, არამედ ოსმალეთს, საქართველომ ერთხელ და სამუდამოთ ხელი უნდა აიღოს ამ ოლქებზე და ის საკუთრებათ გადაეცეს ოსმალეთსო და იმდენად გა-თამამდენ, რომ სასამართლოს შედგენასაც კი ითხოვენ, რომ ეს ოლქები, თანახმად გენაჩრნისა, ფორმალურად ჩააბარონ მას. აი ეს არის ნამდვილი ღალატი და ასეთ საქციელს სისწორით აფასებს თავის წერილში ბ. გაბაშვილი როცა ამბობს: «ქოლიტიკური მოღვაწე იმით განირჩევა აგენტისაგან, რომ იგი ათანხმებს თავის ეროს ინტერესებს, სხვა სახელმწიფოთა ინტერესებთან და მათ პარტნიორად ხდება, აგენტი კი ათანხმებს საკუთარ, პირად ინტერესებს სხვისასთან და მოხელედ იქცევა»-ო. ამაზე უკეთესად თავის თავის დახასიათება აღარ შეიძლება. ამა ვინ იტყვის, რომ ბათუმისა და მისი ოლქის ოსმალეთზე გადაცემა ეთანხმებოდეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებს! ამიტომ, ვინც ითხოვს ამას— ის გაბაშვილის ენით რომ ვსთქვათ, «ათანხმებს საკუთარ, პირად ინტერესებს სხვისასთან და ხდება მოხელედ, აგენტად». და აი, ეს «საკუთარი და პირადი ინტერესების შემთანხმებელი აგენტებია», რომ არიგებენ თავის ქვეყნის მიწა-წყალს და როცა ეს იწვევს სრულიად ბუნებრივ აღშფოთებას—ყვირიან: ყორდანიაც ამას ამბობსო. ყორდანიას ეს, რასაკვირველია, არც უთქვამს და არც იტყვის, რადგან კარგად იცის საქართველოს უდაო უფლება ამ ოლქებზე და თუ დღეს ეს ოლქები საქართველოს გარეგ არის მოქაცეული— ეს სრულიადაც არ ნიშნავს რომ ის სხვას ეკუთვნის და მაზე ხელს ვიღებთ. «კავ.» კარგად ესმის ეს ვანსხვავება, მარა «დაპერირი და გამოტეხილი სხვის აგენტობაში»—ლამობს აბრეს ახვევინო თავის დანაშაული მიჩქმალოს და ფულიან მშრალი გამოვიდეს.

ამ ნომერში მოთავსებული წერილებში იმდენი ყალბი ცნობებია მოყვანილი, რომ ყველა მათი უარყოფა დიდ ადგილს წაგვართმევდა. მარა ზოგის აღნიშვნა, სანიმუშოდ მაინც, საჭიროდ მიგვანია. გაბაშვილი სწერს. რომ «ბეს შვილები ჯერ კიდევ დამოუკიდებლობამდე ურიგებდენ საქართველოს მიწებს სომხებს, ოსებს, თათრებს და ვისაც განდათ და არ გინდათ»-ო. მარა ერთი ვკითხოთ ამ «ჭკუის კოლოფს»—საიდან შეეძლოთ მეწშვილეებს დამოუკიდებლობამდე ვინმესთვის მიწების მიცემა! სად ქქონდა მათ ამის ან საშვალება, ან შესაძლებლობა! ეს ემსგავსებოდა იმას ბამატმა რომ დღეს მის. კედიის ფაშობა უბოძოს! მეორე ადგილას კიდევ გორის ეკლესიების ოქროს ჯვრების უსტაბაში ამირეჯიბი უტიფრად ატყუებს თავის მკითხველებს—«ყორდანია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინაადმდეგი იყო»-ო. ქვეყანამ იცის რომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა თვითონ ყორდანიამ. ქვეყანამ იცის რომ ამ გამოცხადების მოთხოვნა მისივე წინადადებით და თაოსნობით იქნა გატარებული ყველა იმ დროოს რეგ. ორკანოებში ჯერ კიდევ 26 მაისამდე. განა თვით ამირეჯიბმა არ იცის ეს? იცის და კარგადაც იცის. მარა სტყუის ურცხვად, არც შეუძლია სხვაფრივ—ჩვეულება სჯულზე უმტკიცესიაო, ნათქვამია. საბრალო ფინი! ყეფს და იკბინება—«ვინც გადაუგდებს ლუკმა პურს მისი შინაურია»...

* * *

Pro domo sua. გაბაშვილი არ უშვებს შემთხვევას ხელი არ წამოჰკრას იმ ხელშეკრულობას, რომელზედაც მე ხელი მოვაწერე და მის შესახებ ათას გვარი ყალბი ცნობები არ გაავრცელოს. უკანასკნელ ნომერში ის წარბშეუხრელად აცცადებს: «მეწშვილეკებმა უარტაძეს ხელით სხვას მისცეს მთელი საინგილოო-ო. ეს განცხადება თავიდან ბოლომდე გაბაშვილის გამოგონილი და მოპარილია. ვინ არის ეს სხვა მე რომ საინგილოო მიეცეკ? რატომ არ ასახელებს მას? არ ასახელებს იმიტომ, რომ არავფერი ამის მსგავსი არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან მე ვაწარმოებდი მოლაპარაკებას ოუსეთთან და არამც თუ არ მიმიცია მისთვის საინგილო, პირიქით, მივიღე მისგან ნაჩამალთი მთელი ოლქი ადნიშნული ინ მაზრებთა შორის, რომელიც შემოვიდა ამ ხელშეკრულებით საქართველოს საზღვრებში. სხვებთან მე არავითარი მოლაპარაკება არ მიწარმოებია და ცხადია არც შემეძლო ვინმესთვის რამე მიმეცა. ეს კარგად იცის გაბაშვილმა, მარა თუ მაინც ავრცელებს ამ სიყალბეს—ეს იმიტომ რომ ასეთია მისი ზნე და მისი მორალი. ტყეილად კი არ უთქვამთ:—«ვსა კაცსა, ავი სიტყვა ურჩევნია სულსა-გულსაო.

გრ. ურატაძე.

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲛᲝᲬᲔᲑᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

(გაგრძელება)

. .

«ნაროდნიკების» მთავარი სამოქმედო ასპარეზი იყო თბილისი, თბილისიდან კი გაბმული იყო კავშირი მთელს კავკასიაში. თბილისში დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული სტამბას, რომ იქ რამდენიმე ასოთ-ამწყობები ეშოვათ და მათი შემწეობით ფურცლები, ან პაწია წიგნაკები დაებეჭდათ. ყურადღებას აქცევდენ: მირზოევის, ჩითაძოვის საფეიქრო საქსოვ ფაბრიკებს, თუთუნის, თეოძეების სამქრო სახელოსნოებს, ზე-ცეხის საღურგლო სახელოსნოს, სადაც ასამდე კაცი მუშაობდა და სამხედრო პირებისა და დიდ მოხელეებისათვის ავეჯეულობას აკეთებდენ, თბილისის პატარა სარკინისგზო სახელოსნოს და თბილისის სასულიერო სემინარიას, სადაც რამდენიმე ასი მოვდელ-დიაკვნების შვილები სწავლობდენ, რომლებიც გლეხობასთან სოფლათ ყველაზე ახლოს იდგენ, მათთან ცხოვრობდენ.

თბილისიდან დიდი ყურადღება იყო მიქცეული გორში, სადაც ქართლის მაშინდელი ინტელიგენცია იყრიდა თავს და სადაც დიმიტრი ყიფიანის დიდი გავლენაც იყო. გორის სემინარიაში მოსწავლე ახალგაზდობით დიდათ დაინტერესებული იყვენ «ნაროდნიკებით», შეუდგენ იქ წრეების დაარსებას, რათა სწავლა მიღებული ახალგაზდები შემდეგ მასწავლებლებათ თუ მოვდელებად გაეწეოსებიათ საქართველოს დაბა-სოფლებში მათი აზრების გასავრცელებლად. «ნაროდნიკებს» კავშირი ჰქონდათ აგრეთვე ქუთაისთან, ზოსთან, ოზურგეთთან, ზუგდიდსენაკ-ფოთთან, თელავთან და მათ ახლო-მახლო მდებარე სოფლებთან.

«ნაროდნიკებს» გარკვეული პროგრამა და ხაზი არ ჰქონიათ. ინტელიგენციაში და შეგირდებში მათი საკითხვი წიგნები ჩერნიშევსკ-ლავროვ-ბელინსკი, დობროლიუბოვი, «ეკატერინოფზე» დაწერილი «ოთხი ძმა» იყო. გლეხებში აგიტაციას ეწეოდენ—ტყე-მიწა თქვენ ეკუთვნიხო და ამ ნიადაგზე მათ დიდი გამოსელები მოაწყევს სამეგრელოში, ადგილი ჰქონდა შეტაკებებს გურიაშიდაც.

«ვარლამ ჩერქეზიშვილმა საქართველოში პირველი კონსპირატიული კრება სოციალისტური ტენდენციებით მოაწყო ბაგრატ ზედგინიძის სახლში 1877 წელს, რომელსაც დაესწრენ: ბაგრატ ზედგინიძე, სალარიძე, გოლა ჩიტაძე, რცხილაძე და სხვენი... მისი ქადაგება ჩვენთვის იყო გაუგანარი და მიუწდომელი, ჩვენ პოლიტიკურ ბავშვებს პირველათ გვესმა მარქსისა და ენგელსის, ბაკუნინისა, პრუდონისა, ლუიბლანისა და კროპოტკინის სახელი, რომლებიც გვიოლბდენ ოქროს საუკუნის კარებს»-ო, წერს სალარიძე.

«1878 წ. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში იყო მასწავლებლათ ვანო ბესარიონის ძე ლიაძე. ამ მკოლაში ეგნატე ინგოროყვაცს (ნინოშვილის) ხელმძღვანელობით უკვე ურსებობდა ბუნტარ მოწაფეთა ერთი ჯგუფი, რომლის სულის ჩამდგმელი იყო, განათლებული, პატრიარქის შესახედაობის «ნაროდნიკი» ვანო, ამ ვანოსთან ეგნატე დიდის სიფრთხილითთ დადიოდა... ვანოს ახარებდა ამ ყმაწვილის ნიჭი, მარა გულს უკლავდა მისი ზდაპრული, აუტანელი სიღარიბე»-ო (სალარიძე).

«1881 წ. თბილისისან გორში ჩავიდენ არალეგალური წრეების მოსაწყობათ ა. ხახანაშვილი და ა. გარსეევანიშვილი»-ო (სალარიძე). მთავაროი ყურადღება მიქცეულია გორის სემენარიაზე, მომავალ მასწავლებლებზე. ესენი არიან: სამსონ კანდელაკი, სვეფრიანე ჯანელიძე, სანოკაეები, ლუკა რაზიკაშვილი (ვაკა ფშაველა), ჩერქეზი-შერემეტიევი, ციმაკურიძე, შუსილმანი კარაღლისკი, ს. ერისთავი, შუსილმანი ტაპიპიევი, შუსილმანი სადიკოვი, აფხაზი კოსტავა, სპირ. გაბელაშვილი, მუს. კ. ჩალინსკი, ვ. ავალიშვილი, შიო მღვიმელი (პოეტი), ციმაკურიძე. შერვაშიძის და ყანჩაველის მანდილოსნებთან თავს იყრიდენ მთელი გორის ინტელიგენცია»-ო (სალარიძე). შემდეგ გურიაში ავრცელებდენ «ოთხ ძმასა» (სამსონ კანდელაკი). გორის დამსახურება ისაა, რომ ამ «წრემ» შეაერთა «სამოქმედოთ» «მოჩხუბარიძე» (ყაზბეგი), ლუკა რაზიკაშვილი (ვაკა ფშაველა) და ეგნატე ნინოშვილი»-ო (სალარიძე).

გორში, როცა «ნაროდნიკების» ხელმძღვანელების საიდუმლო კრება ხდებოდა და ესწრებოდა გურიიდან ჩამოსული ბატონიშვილი ვახტანგ გურიელი. მაშინ რკინის გზა არ იყო და ის ცხენით მოდიოდა, შეიარაღებული ხმლებით—სწერს სოფრომ მგალობლიშვილი. ვახტანგისას ბევრი «ნაროდნიკების» თავს ინახვიდენ, დევნისა და გაპეივრების დროს გურიელის შემწეობით ოსმალეთით ევროპაში გადიოდენ. ასე გავიდენ სხვათა შორის სიკო სალარიძე და ვარლამ ჩერქეზიშვილიც, რომელიც საქართველოს საქმეზე მოსალაპარაკებლათ ტრაპიზონში გიორგი წერეთლის მეოხებით აშბადები პოლიტიკურ ხელშეკრულების დადებას საქართველოს და იმგლისს შორის მინისტრისა და ლიბერალური პარტიის ბელადის როზბერის დავალებით...

გორის ჯგუფს დიდი გავლენა ჰქონდა მთელ ამ მხარეში; სოფელ ტყეივაში მათი გავლენის ქვეშ იყენენ კეცხოველები; შემდეგ ტყეივაში აღიზარდენ ცნობილი მებრძოლნი: ნიკო, სანდრო, ლადო, ვანო კეცხოველები...

თბილისში, მთაწმიდაში ერთ კლდის ძირას ცხოვრობდა ერთ პატარა ქოხში ზაქარია ჭიპინაძე მოხუცი დედით. მას პატარა ბინა ჰქონდა წიგნებისა გასაყიდათ ალეკსანდროოვის ბაღის გვერდით; ძველ ხელთნაწერებს, წიგნებს აგროვებდა. ზოგს ქართველ მწერლებს შესასწავლათ აძლევდა, ზოგს თვითონ თავისი პატარა ცოდნით ბეჭდავდა, მდაბიო ხალხში ავრცელებდა, საქართველოს ყოველ კუთხეში დადიოდა. ვინ და საიდან გინდათ მის დარიბ ქოხში რომ არ მოდიოდა. აქ უბინაოს ღამის თავშესაფარი ჰქონდა, მშიერს პური და ჩაი მოხუცი დედიდან ეძლოდა, ყოველნაირ წიგნებს ზაქარია აკითხებდა, ყველასთან საქართველოში ამ კაცს კავშირი, ნაცნობობა, თვისობა ჭონდა, წიგნების გავრცელების მო-

ყვარული ზაქარია დღიან ღამიანნი იღვწოდა. ის იყო უდიდესი მოყვარული ქართველი ერის და «ნაროდნიკი». მისი კოხი სავსე იყო რუსული «ნაროდნიკული» წიგნებით და საიდუმლო ხელთნაწერებით.

ამ კაცის შემწეობით «ნაროდნიკებს» სტამბის მუშებთან კავშირი ჰქონდათ და ასოთ-აბეწყობ ლუარსაბ ხელაძის, დომეტრი მარაშვილის, არსენ ყალაბდაძის და სხვათა შემწეობით პაწია სამეჯუდავის შექმნას ცდილობდენ.

ზაქარიას ბიერ ზეიცლერის სადურგლოში საიდუმლო წრე იყო მოწყობილი მიხეილ ჩოდრიშვილის და იოსებ დავითაშვილის საშუალებით. თერძებში კი ნიშვიერან მერკვლაძის მეთაურობით... მთელ თბილისის სემეწარიის მოწაფეთ ათეული წლების განმავლობაში ზაქარიადან მიკონდათ საკითხავთ მიხაილოფსკი. ლავროვი, ჩერნიშევსკი, პისარევი, დობროლიუბოვი და ბელინსკი. აქედანვე ეძლოდათ რუსულის მცოდნე მუშებს პროფდონი და მუშათა მოძრაობის მამამთავრების მაშინდელი წიგნაკები.

ყველაზე დიდი ყურადღება მიქცეული იყო თბილისის სემეწარიაზე, სიიდანაც მასწავლებელ-მდგელები უნდა გამოსულიყვენ, რომლის შემწეობით ხალხსაენები—«ნაროდნიკები» ხალხთან მისული შეძლებდენ. ამ სასწავლებელის საგანგებო ჯგუფი ყავ და მინჩეული «წრეში» სამაცალინოთ გოლა ჩიტაძის, ივანე ჯაბადარის და ანტონ ფეფოლაძის ხელმძღვანელობით. ამათი კავშირი იყო ზაქარია ეპიეინაძე. შეგირდები მინთ და საუმეო-სასმეფოს სემეწარიაში ცხოვრობდენ, მათ ნასადილეკს რამდენიმე საათით ქალაქში ნათესავებთან გასვლა შეეძლოთ, ამ შემთხვევით სარგებლობდენ და ზაქარიას ბინაზე თუ სხვა ნაცნობებთან იკირიბებოდნენ...

1882 წელს სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსული პროპაგანდისტები შეიკრიბენ სათათბიროთ სოფელ უფლის ციხეში შემდეგი საკითხების გასარჩევად: 1. ფეოდალური მიწის კონფიშკაცია. 2. გლეხთა კავშირების მოწყობა და მათი გამოსყიდვები. 3. პატარა ერების განთავისუფლება რუსეთის ბარბწინილ კაპიტალიზმისაგან, რომელიც სძარცვავს მათ ბუნებრივ სიმდიდრეს...

კრებაზე ლუკა რაზიკაშვილი (ვაკა) იღებს სიტყვას: კოკის პირელ წვიმისა და ქარბუქში გამოვიარე თითქმის მთელი ფშავ-ხევსურეთი და ყველგან ერთსა და იმავეს მეკითხებოდენ: როგორ გადაწყდება მიწის დანაწილების საკითხი. უკეთუ გლეხებს მივცემთ მიწას, ჩვენს მუშაობას ექნება დასაყრელი სოფლად და წელში გაწყვეტილ გლეხობას გადმოვიყვანთ ჩვენს მხარეზე. მაშინ საფუძველი ეცლება ჩვენს მთავრობას და ჩვენთვის საშიშარი ალარ იქნება არც მემამულეების მუქარა და არც რუსეთის ხიშტიანი ლეგიონები. გამოსავალს მე ვხედავ გლეხთა კავშირებში ინტელიგენციასთან პატარა ერების ერთობაში. შემდეგ, როდესაც ლუკამ მკაფიო სიტყვებით გადაგვიშალა სურათი სოფლის ცხოვრების სიღარეხერისა და ბიუროკრატიული აპარატის ბარბწინისა, მან ფაფარ აყრილი ლომივით შეარხია ფალავნური ბეჭები და გულგაზმაგებით წამოიძახა: ან თავისუფლება, ან სჯობს სიკვდილიო... (სალარიძის მოგონება, «მნათობი» № 10, 1935 წ. თბილისი).

როგორც მაშინდელი ჩვენი ცხოვრება იყო არეულ-დაუწყობელი, ისეა მათი კეთილის მსურველების მოქმედებაც...

1878 წელს ქ. ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში მესამე კლასის მოწაფეებმა მოახდინენ შეთქმულება სასწავლებლის უფროსის დეკანოზ ქიქოძის წინააღმდეგ, რომლის სახლში იყო ეს სასწავლებელი. დაბლა სართულში იყო სასწავლებელი, ხოლო მაღლა თვითონ იდგა. დეკანოზი იყო ღრმა მოხუცებული და სასტიკი მოწაფეებისათვის. დისციპლინის გატარება მან იცოდა მხოლოთ ჯოხით.

იმ დროს თბილისიდან გამოგზავნეს დეკანოზის თანაშემწედ ახალგაზდა ინსპექტორი შოშიაშვილი. შოშიაშვილს ბავშვებთან ქონდა კარგი განწყობილება და წინააღმდეგი იყო ცემის. ამ დროს ეგნატე ინგოროყვა იყო მესამე კლასის მოწაფე. მისი მეთაურობით ამ კლასის მოწაფეები შეიკრიბენ ღანველის მინდორზე და დაადგინეს: მხარი დაუჭიროთ შოშიაშვილს და შკოლაში არ წავიდეს მანამდის, სანამ ქიქოძე არ გადადგება. ამ საქმეს დაეჭქვა «დანველის ბუნტი». გაფიცული ბავშვების მამები ჩამოვიდენ ოზურგეთში და აიძულეს თავიანთი შვილები სკოლაში ევლოთ.

ეგნატე ინგოროყვა იქნა გამორიცხული სასწავლებლიდან, როგორც ბუნტის მეთაური. დანარჩენთ აპატიეს. ამით გათავდა ბუნტი. ხოლო ქიქოძე გადაიყენეს თბილისიდან ვამოძიების შემდეგ.

იმ ხანებში ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლათ იყო «ნაროდნიკი» ვანო ლიაძე. ეგნატე ინგოროყვა ერთ ბინაზე ცხოვრობდა ამ სასწავლებლის შეკირდებთან ნოე ყორდანიას და ბარამიძესთან.

გაფიცვის, ანუ «ბუნტის» დროს ეგნატეს მეთაურობას არ უთმობს ამავე შკოლის შეგირდი სილიბისტერო ჯიბლაძე; შენ ნამეტანი სუსტი აგებულობის ხარ, მთავრობასთან ბრძოლაა ვერ აიტან, ეუბნებოდა სილიბისტერო ეგნატეს, მარა სულიერათ ძლიერი ეგნატე თავის თავზე ღებულობს ყოველივეს და მას როგორც «ბუნტოგრიკს» სასწავლებლიდან აძევებენ.

ეგნატეს მრავალ ამხანაგებთან ერთად რჩება ოზურგეთის შკოლაში მისი სული მეგობრები: ნოე ყორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, არსენ წითლიძე, ისიდორე რამბაშვილი, ლავრენტი წულაძე. თვითონ ეგნატე კი ცხოვრების აღელვებულ ტალღებში გადავშვა.

ეგნატე მისი სუსტი აგებულებით თავის სარჩენათ სამუშაოს ეძებს, მარა ყოველგან უსამართლობას ეგბრძვის და უალაგოთ და ულუკმაპაუროთ რჩება. ის ხან სოფლის მწერალია, ხან გრ. გურიელის წიგნთსაცავში, ხან რკინის გზის ლინდაგის გაყვანაზე მუშაობს; ერთხანს «ტელეგრაფისტათაც» მსახურობს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ეგნატე ნოე ყორდანიასთან მუდმივ კავშირშია, ზაფხულობით მის ოჯახში დადის. თბილისში ყოფნის დროს ის ეცნობა ზაქარია ეპიეინაძეს და თბილის-გორის ხალხსენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1885 წელს ეგნატე ჩიბათის სოფლის მწერალია, სადაც მცირე წრე შეადგინა და თბილისიდან ჩამოტანილ ნებადაურთველ ლიტერატურას გვიკითხავ დაო—სწერს სეო ჭყონია. მალე გლეხებიც შეგიერთეთ. მან მეტათ მოწონდათ ლოზუნგი: მიწა მიწის მუშას უნდა ქონდეს და არა მუქთა ხარებსო!

1886 წლის ივნისის შუა რიცხვებში თოფებითა და ცულებით შეიარაღებული გლეხები შეიტრენ საგურიელო ტყეში. დაბანაკდენ საომარ წესისამებრ და შეუდგენ ტყის ჩეხას. გურიელების მოურავი ნაკაშიძე შეიარაღებული რაზმით შეიტრა ტყეში გლეხების გასარეკათ, ეკვეთენ ერთმანეთს. გლეხმა სიმონა ჯორბენაძემ სასიკვდილოთ დასტრა მემამულე ჭყონია. საქმეში პოლიციია ჩაერია და გლეხები ტყიდან გამორეკეს. შედგა სასამართლო. ჯორბენაძეს სამი წლის გამასწორებელი რაზმი გადაუწყვიტეს. დაიწყეს წამქეზებლთა ძებნა. გლეხებმა არავინ გასცა. ეჭვი ეგნატეზე და ჩემზე მოიტანეს. მე სამსახურიდან დამითხოვეს, ხოლო ეგნატე 26 ნოემბერს 1886 წ. საზღვარგარეთ გაეგზავრაო» ამბობს ჭყონია. საზღვარ გარეთ წავიდა აგრეთვე სამსონ კანდელაკი, რომლის წინ მარსელში ჩასული იყო სიკო სალარიძე, რომელიც როგორც ანარქისტი საფრანგეთის პოლიციას დაეჭირა და ამიტომ ამხანაგებს ვეღარ შეხვდა...

ეგნატე ჩავიდა მონპელიეში, სადაც დიდი გაუჭირვება გამოიარა: სწავლის მაგიერ მეეენახე გლეხების ზვრებში მუშაობდა. მისი სუსტი აგებულობისნაკელს ეზიდებოდა, თბილისში ყველა ნაცნობებს წერილებს სწერდა, მარა ვერას გახდა და ექვსი თვის წვალების შემდეგ სულიერთ დატანჯული და ფიზიკურად დასუსტებული სამშობლოში მიაღწია.

სამსონ კანდელაკმა ერთი წელი ივაგლახა და ისიც საქართველოს დაუბრუნდა...

1888 წელს ეგნატე ისევ ჩიბათშია. სოფლის სასა მართლოს მწერალმა იფიქრა ეგნატე მწერლათ დადგება, მე ადგილი დამეკარგებაო და ლანჩხუთის ბოქაულ ჯაფარიძეს «დანოსი» გაუგზავნა: ეგნატე ინგოროყვა ხალხში ღმერთსა და ხელმწიფეს აგინებსო! მოინდომა მისი დაღუპვა. ბოქაული ამ საქმეზე მოელაპარაკა ლანჩხუთში გავლენიან პიროვნებას ნიკოლოზ ყორდანიას, თუ რამდენათ სამართლიანი იყო ეს დასმენა. ნიკოლოზმა ბოქაულს აუხსნა მწერლის უსაფუძლო შიში და ხრიკი. ინგოროყვა ჩემი შვილის ბავშობის მეგობარია, მე ეხლავე მას თბილისში გავგზავნიო და ამით საქმე მოისპო.

ეგნატე რამდენიმე დღის შემდეგ თბილისშია, ზაქარია ჭიპნანაძის და მისი დედის სტუმარია...

(გაგრძელება იქნება)

ვლასა მეგელაძე.

საქართველოს ცხოვრებიდან

მოსკოვში თავს იყრის საბჭოთა თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი.

კომპარტიის არც ერთ ყრილობას წინ არ უძღოდა ასეთი სამზადისი.

რატომ დარჩა ეს საეჭვო? ვინ ყავს მოცილე და მოკიმსეკა კომუნისტურ პარტიას. როცა ყოველი ლენისძიებანი მიღებულია დაანახონ ქვეყნიერებას ფაროე მასების აღრფთოვანება. მათი განუსახღვრელი სიხარული ამ ყრილობის მიმართ!

საქმეც ის არის, რომ მე 17 ყრილობის შემდეგ კომპარტია გაიხარწნა და გათახსირდა.

სტალინმა გაკლიტა ძველი გვარდია. ფართე მასებში კომპარტიამ დაკარგა ყოველგვარი წონა და ღირებულება. ის გაბატონებულ რეჟიმის საშობი წარმოშობილი პრივილეგიებით დატვირთული მაღალი სოციალური კატეგორიაა.

და აი დიქტატურას სურს მე 18 ყრილობის გარშემო აამოძრაოოს საზოგადოებრივი აზრი, დაანნტურეოს მასზე გულ-აცრუებული მშრომელი მასები.

ქართველმა ბოლშევიკებმაც მომართეს თავისი ეპარატი. მათ განსაკუთრებული როლი ეკისრებათ. კომუნისტურ პარტიის სიჯანსაღესთან ერთად და უტტკიცონ მოსკოვს ქართველი ხალხის ერგიულ ლება და მორჩილება. მათ მიერ დასახული გეგმა ამის სრული მაჩვენებელია. საშუალება სრულიად მარტივია. მოსკოვში იკრიბება მე 18 ყრილობა კომპარტიის და ამ «ისტორიული მოვლენის» აღსანიშნავად საეჭვოა «საჩუქრები» დამზადება.

«კომუნისტი» მთელი თვის განმავლობაში მოუწოდებდა ყველას: «შეეგებოთ საჩუქრებით მომავალ ყრილობას, გავადიდოთ ნაწარმოები და შეეგებოთ თვით ღირებულება». გაცოცხლდა შეეჯიბრების სისტემა. ამა თუ იმ სამრეწველო დარგში «კომშიჩეიკის» თაოსნობით ერთხმად გამოაქვთ დადგენილებანი: ზედმეტი პროკენტებით შეასრულონ დანაკვეთები, იმუშავონ ზედმეტი საათები. მაგალ. თბილისის ავტო-სარემონტო ქარხნის მუშები აღიარებენ: «ჩვენი ქვეყნის მოწონავე ადამიანები გამსჭვალულნი არიან სუფვილით პარტიას, დიდა-სამშობლოს, დიდ სტალინს მიუძღვნის საწარმოოო გამარჯვებები». იქვე ტეხანოველი სიმონიანი კისრულობს მე-18 ყრილობას საჩუქრად მიართვას ერთი მანქანა «ლუქსი», კაპიტალურად შეკეთებული.

ჩვენს დედა-ქალაქში კიროვის სახელობის ქარხანაა, შიგ მომუშავეთა ყრილობამ ნევზოროდის თავმჯდომარეობით და ოკრობოლოს მოხსენების შემდეგ, გადასწყვიტა დაამზადოს საყრილობო საჩუქრები.

თბილისში არ დარჩენილა არც ერთი საწარმოო დარგი, სადაც მასიური კრებები არ ხდებოდეს, ყველგან გამოაქვთ ერთი და იგივე დადგენილება. მეთაურთა შორის სპარობს არა ქართველი ელემენტები. ჩეკის აგენტების მიერ გარშემორტყმულ კრებას—გამოაქვს «აღფრთოვანებული» რეზოლიუციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცირე გაბატონებული წრე თვით კმაყოფილი. აღფრთოვანებული. დაინტერესებული მოპოვებული მდგომარეობის შენარჩუნებით, თავს ახვევს მშრომელ მასებს წინასწარ გამზადებულ სურვილებს; აბა გაბედოს ვინმემ და ხმა ამოიღოს, საკუთარ შრომის პირობებზე შესჩივლოს ვინმემ! პირიქით, საქართველოს მთელი მშრომელი ხალხი თურმე დღესასწაულობს გაბედნიერებულ ცხოვრებას და მადლობის ნიშნად მე 18 ყრილობის უდიდესი სიხარულით ეგებება. მაგრამ ეხლა გიგეანით კვების კომისარიატის აღსარება. მუშა-მოსამსახურეთა, პირველ საქირო ების საგნებით მომარაგება საშინელ პირობებშია. ხახვერად მშიერთ უხდებათ შრომის გაწევა. კოოპერატივების თაროები ცალიერია. ბოროტმოქმედების ქსელი ისეა გაბმული, რომ მისი აღმოფხვრა შეუძლებელია. ვახი იგივე საბჭოთა პრესა რამოდენიმე დღის უკან გაკოფფებული არ ყვიროდა მუშათა დენადობაზე და მის მოსასპობად საბჭოთა ხელისუფლებამ შრომის წიგნაკები არ შემოიღო? ეს ხელისუფლება პოლიციური ზომებით ცდილობს მუშების წარმოებაზე მიმაკვლის, რადგანაც არავის არ სურს ერთს ქარხანაში დარჩენა, ერთ ადგილზე მუშაობა. ყველა იძულებულია მუდმივ ძებნაში. ჯაპანწყვეტაში გაატაროს გამწარებული ცხოვრება და ამის შემდეგ მაინც ციხეკურად გაიძახიან: «შრომის ინტეზიზმი ეზვიროვნეთა მილიონნები მიისწრაფვიან სოციალიზმის კვეყანას, თავის მშობლიურ პარტიას საჩუქრად მიუძღვნას გეგმაზე ზევით ქვანაზშრი, ფოლადი, მანქანები, ქსოვილები, პროდუქტები»...

ტყვიბულის მუშები წელში უნდა გაწყდენ და 7 თვის განმავლობაში შესარულონ ერთი წლის გეგმა. სად. ნატანებში თოიძის ქალაქ 500 შრომა დღის მაგიერ 600 შრომა დღე უნდა გამოიმუშავოს (ნეტა ვი ვიცოდეთ რამდენი დღეა—ბოლშევიკური წელიწადში?). გოგიტიძის ქალაქ 200 კილოგრამი ჩაი უნდა მოკრიფოს დღეში. ჯიქიის ქალაქ სამ დაზგაზე უნდა იმუშაოს, ერთი თვის გეგმა 400 პროცენტით უნდა შესასრულოს. რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება...

მოსკოვის ადგილობრივი დამცველები ქართველი მშრომელი ხალხის ოფლით და შრომით ცდილობენ თავი დაიზღონ, ერთგულება დაუმტკიცონ დიდ ბატონს.

შრომის საშინელი ექსპლოატაცია გასაღებულია როგორც მშრომელთა აღფრთოვანებული მისწრაფება და «დედა-სამშობლოს» სიყვარული. მაგრამ მე 18 ყრილობა ვერც გახრწნილ კომპპარტიის პრესტიჟს აღადგენს, ვერც ქართველი ერის გულში მოშლილ დამპყრობელებისადმი თავის უარყოფილი დამოკიდებულებას.

ქართველი ბოლშევიკების «საჩუქრები» ამ წარჩინებულთა ყრილობისადმი თვალს ვერ აუხვევს ქართველ მშრომელ ხალხს, ის ადვილად გაიგებს მის ნამდვილ შინაარს და მას სათანადოთ დააფასებს.

ეხარი.

მუშათა მოძრაობა

ერთი ფურცელი.

ევროპის სოციალისტურ პარტიათა შორის ინგლისის მუშათა პარტია თავიდანვე იყო ანტიკომუნისტურად განწყობილი და კომუნისტებთან საერთო ფრონტს შუდამ უარყოფდა. პირველად მან გარიცხა თავის რიგებიდან ბოლშევიზანი «დამოუკიდებელი პარტიის» წევრნი ბროკკე�ის და მაკსტონის მეთაურობით, შემდეგ მათ მიაყოლა «სოციალისტური ლიგისა» ჯგუფიც, რომელიც კომუნისტებთან საერთო მუშაობას აუცილებლად სთვლიდა. ამ ჯგუფის ერთი მეტად თვალსაჩინო მეთაურთაგანი—ჯრაპსი, მაკდონალდის მუშათა მთავრობის ყოფილი მინისტრი, მისი მეგობრების ექსტრემისტულ ზეხედულებებს ყველაფერში არ ეთანხმებოდა და დარჩა მუშათა პარტიაში. ის იქ შემდეგ ცენტრალურ კომიტეტის წევრადაც იქნა არჩეული.

ამ უკანასკნელ ხანებში კრიპსმა დაიწყო პარტიაში აგიტაცია სახალხო ფრონტის დაარსების სასარგებლოთო, რაც წინეთ უარყოფილი იყო როგორც პარტიული კონგრესის, ისე მისი ეგზეკუტიციის მიერ. ეხლა კრიპსმა პარტიულ ორგანიზაციებს დაუგზავნა თავისი სახელით მემორანდუმი, რომელშიდაც მას მოყავდა არგუმენტები და იცავდა სახალხო ფრონტს. ეგზეკუტიციმა მოსთხოვა თავის წევრს—კრიპს სპეციალური ცირკულიარული წერილით უკანვე წაელო მისი მემორანდუმი. კრიპსმა ამაზე უარი განაცხადა, რის შედეგად ის იქნა პარტიიდან გარიცხული.

ინგლისის მუშათა პარტიამ დღემდე შეინარჩუნა მთლიანობა და თავი დაიხსნა ბოლშევიზანური ბაციერებისაგან, რადგანაც ამ ბაცილების ის ენერგიული და მოურიდებელი ზომებით თავიდანვე ჰკლავდა და მას გამრავლება-გავრცელების საშუალებას არ აძლევდა.

სამწუხაროდ ასეთი რამ არ ხდებოდა საფრანგეთის სოციალისტურ პარტიაში. აქ ბოლშევიზანობას დიდის თავაზიანობით ეყრობოდენ და მას ზშირად მეტად ნოყიერ ნიადაგსაც უმზადებდენ, ბოლშევიზანები პატივნი ყავდათ, მკაცარ ანტიბოლშევიზანებს კი პარტიიდან აძევებდენ (მოიგონეთ რენოდელის შემთხვევა).

კომუნისტებთან ერთი ფრონტის დამყარებით ფრანგი სოციალისტები ილუზიებს ეძლეოდენ და ფიქრობდენ, რომ საერთო მოქმედების და მუშაობის პროცესში ისინი კომუნისტებს მოარჯულებდენ, მოხდებოდა მათი აზროვნების გარდაქმნა და ამ გზით კომუნისტურად განწყობილ მუშათა მასას სოციალისტური პარტიის რიგებში ადვილად შემოიყვანდენ. მაგრამ სწორედ ამასვე ფიქრობდენ კომუნისტებიც; მათ წინდაწინვე ეანხმიდი ჰქონდათ, ჩუმათ ემხადებოდენ და ირაზმებოდენ საერთო ფრონტის და მოქმედების პროცესში სოციალისტების დასანგრევად და გასანადგურებლად. სამწუხაროდ ამ ყოველად ნათელი ამბავის გასაგებად სრული 5 წელი დარჩა საჭირო და დღესაც ჯერ კიდევ პარტიის დიდ უმრავლესობას ეს ვერ შეუგნია.

მართალია ეხლა პარტიის ერთ ნაწილს—შედა რებით უმცირესობას—პოლ ფორის და სევერაკის მეთაურობით აქვს ორკვირეული ჟურნალი—«სოციალისტი», სადაც სისტემატიურად ფარდა ეხდება ბოლშევიკების და საბჭოთა რუსეთის ყოველვვარ თვალმაქცობას და მანიოვრებს; «სოციალისტი» აშკარად და მოურიდებლად აქვეყნებს კომეუნისტების ჩუმ ზრახვებს და მათთან საერთო მოქმედებას და ერთ ფრონტს, როგორც საერთო საქმისათვის. ისე პარტიისათვის დიდად მავნებლად სთვლის; მაგრამ პარტიის უმრავლესობის აზრის გამომხატველი გაზეთი—«პოპულერი» კომეუნისტებთან დამოკიდებულების და ერთი ფრონტის საკითხში მუდამ მერყეევი და გაურკვეველია; ის მუდამ დათმობებზე მიდის, მუდამ კომპრომისებს ეძებს და მას ნათელი ხაზი არ გააჩნია.

საფრანგეთში სახალხო ფრონტი დაირღვა, მას რადიკალების პარტია ჩამოსცილდა, მაგრამ კომეუნისტებს და სოციალისტებს შორის ერთი ფრონტი, ვითომ, ჯერ კიდევ ოფიციალურად გრძელდება. მაგრამ ამ მთ ეფემერულ ფრონტსაც ლახვარი ჩაეცა საფრანგეთის სოც. პარტიის ნაციონალური საბჭოს 5 მარტის დადგენილებით. ეს დადგენილება განმარტავს, რომ სოციალისტურმა პარტიამ უნდა შეინარჩუნოს თავისი საკუთარი სახე და იყოს ნათელი და გარკვეული თავის პოლიტიკაში და მოქმედებაში. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ეკრძალებათ საერთო საჯარო კრებები კომეუნისტებთან.

ეჭვი არ არის, ფრანგ სოციალისტ-კომეუნისტების ერთი ფრონტის რღვევა მომავალში ჩქარი ნაბიჯით წავა.

საქ. სოც.-დემ. მ. პარ. უცხოეთში მყოფ ორგანიზაციების კონფერენცია

მიმდინარე წლის 11 მარტს ადგილი ჰქონდა ჩვენი პარტიის უცხოეთში მყოფ ორგანიზაციების მეორე კონფერენციას, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა. მას დაესწრო სხვადასხვა ადგილებიდან ჩვენი—ორგანიზაციების 19 წარმომადგენელი.

მოსმენილ მოხსენებებმა გამოიწვია გაცხოველებული კამათი და ბრთა გაკვლა გამოცვლა. რომელმიდაც მონაწილეობა მიიღო დელეგატების იდ ომა უმრავლესობამ.

კამათის დასრულების შემდეგ კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუციები:

ბიუროს შესახებ.

კონფერენციამ მოისმინა რა ჩვენი პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროს მოხსენება მისი უკანასკნელი ხუთი წლის მუშაობის შესახებ. აღნიშნავს მის ნაყოფიერ საქმიანობას თავის მოღვაწეობის მრავალ სფეროში და უსურვებს მას ასეთივე გეზით განაგრძოს თავისი მუშაობა.

სოც. ინტერნაციონალი.

მოისმინა რა ამბ. კ. გვარჯალაძის მოხსენება სოც. ინტერნაციონალში მუშაობის შესახებ, კონფერენცია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალი თანდათან თავისუფლდება ბოლშევიზნური გავლენისაგან და გადაჭრით უარყოფს კომინტერნთან რაიმე კავშირს და დამოკიდებულებას.

ბიმპიერარე ამოდენა.

მთავარი ჩვენი საზრუნავი დღეს არის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. მხოლოდ თავისუფალ ერში შეიძლება გაშლა და გაღრმავება რეფორმატიული მუშაობისა ხალხის სასარგებლოდ. ამ სფეროში თავისუფალ საქართველომ მოგვცა უდიდესი მაგალითი. ძველი რუსეთის ნანგრევებზე ალმოცენებულ რესპუბლიკათა შორის საქართველოში იქნა გატარებული ყველა სოციალურ-პოლიტიკური რეფორმები, რისთვისაც თავიდანვე იბრძოდენ დემოკრატიული და სოციალისტური პარტიები. ეს განსაკუთრებული მოვლენა აიხსნება მხოლოდ ერთი გარემოებით: საქართველოს ერი გახდა რა დამოუკიდებელი და სუვერენი ამით მან მოიპოვა საშუალება განეხორციელებინა მისთვის საჭირო და აუცილებელი რეფორმები. ესე იგი ნაციონალური თავისუფლება შეიქნა აუცილებელ და გარდაუვალ პირობად მშრომელი მასების საბოლოო ემანსიპაციისთვის.

კონფერენცია გამოდის რა ზემოდ აღნუსხულ დებულებებიდან, თავის მუშაობის პირველ რიგში აყენებს ქართველი ერის განთავისუფლების და მისი სუვერენული უფლებების აღდგენის საკითხს.

პარტიებთან ფამოკავშირებულება

რაკი პირველ რიგში წამოყენებული გვაქვს ეროვნული განთავისუფლების საკითხი, ცხადია ჩვენ მომხრე ვართ თანამშრომლობის ყველა იმ ქართულ პარტიებთან, რომელიც ამავე მიზანს ემსახურებიან და მუშაობის მთავარ საგანთ მას ისახავენ.

კონფერენციას აუცილებელ საჭიროებათ მიიჩნია დღევანდელ ისტორიულ მომენტში არსებობდეს ქართველთა ერთი მთლიანი პატრიოტული ფრონტი, რაგინდ დიდი განსხვავება იყოს მის შემადგენელთა შორის რეჟიმის საკითხზე. თავისუფალ საქართველოს შინაური რეჟიმის მიღება და მოწყობა არის შინაური საქმე განთავისუფლებული ერისა.

ჩვენი პარტიის სახელვარგარეთელი—ორგანიზაციების კონფერენცია მზად არის ენერგიულად ხელი შეუწყოს ქართულ ემიგრაციის რიგების გაერთიანებას.

კონფერენციამ მოისმინა რა აგრეთვე მოხსენება უცხოეთში მყოფ ქართული ძალების გაერთიანების შესახებ და დგას რა ამ საკითხში ნ. ყორდანიას მომრთვის ნიადაგზე, ავალებს ბიუროს მიიღოს ყოველივე ზომები, რათა ის იქნეს ცხოვრებაში გატარებული.

ამასთანავე კონფერენცია მოუწოდებს ყველა იმ ქართულ დაჯგუფებებს, რომლებიც დგანან საქართველოს დამოუკიდებლობის და მისი ტერიტორიალური მთლიანობის ნიადაგზე, თავის მხრივ შეუწყონ ხელი ქართულ ემიგრაციის სასიკეთოდ ძალების გაერთიანებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაციონალური მთავრობა.

საბჭოთა იმპერიიდან გამოხიზნულ ემიგრანტთა შორის მხოლოდ ერთად ერთი საქართველოს ნაციონალური მთავრობა არ დაცემულა შიგნიდან და არ გამოუდენია ის უცხოეთში თავისავე ხალხს. მას არ დაუთმია ძალაუფლება შემოსეულ მტრისათვის და ბოლომდე მას ებრძოდა აღმართული ნაციონალური დროშით. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ის აღჭურვა განსაკუთრებული უფლებით მიიღოს ყოველნაირი ზომები უცხოეთში, რათა საქართველოს დაუბრუნდეს მისი სუვერენობა.

კონფერენცია მხარს უჭერს საქართველოს ნაც. მთავრობას მისი ნაციონალური დავალების შესრულებაში და იმედს გამოსთქვამს, რომ ის კვლავ დარჩება თავის პოსტზე მედგრად და ურყევად.

საბჭოთა მთავრობა.

ვდგევართ რა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობის ნიადაგზე და ვებრძვით რა რუსეთის ბატონობას არარუს ერებზე მიუხედავათ მისი შინაური რეჟიმისა, კონფერენცია მხარს უჭერს ყველა ჩაგრულ არა რუსთა ერების ბრძოლას ნაციონალური თვითგამორკვევის უფლების მოსაპოვებლად და მათი თავისუფლების აღსადგენად.

კონფერენცია თანაუგრძნობს აგრეთვე რუსის მშრომელთა მასების რევოლიუციონურ ბრძოლას საბჭოთა რუსეთის ბარბაროსული რეჟიმის დასამხობად.

კავკასიის ნაც. ფრონტი.

კონფერენცია დგას რა კავკასიის ოთხი ნაციონ. რესპუბლიკის კონფედერატიულად გაერთიანების ნიადაგზე, მხარს უჭერს ამ ერთა შეერთებული ძალით გამანთავისუფლებელ ბრძოლას და ამ მიზნით შექმნილ მათ საერთო ფრონტს და საერთო ორგანიზაციებს.

პრომეთეს ფრონტი.

კონფერენცია ემხრობა რა საბჭოთა ერების განმათავისუფლებელ მოძრაობას, მხარს უჭერს ამათ საზღვარგარეთელ ერთ მთლიან ფრონტს წოდებულს პრომეთეულად და იღებს მონაწილეობას მის მუშაობაში.

ამ ფრონტის ერთად ერთი შემაერთებელი მომენტია—ნაციონალური თავისუფლება, აქ რეჟიმის, პოლიტიკური და სოციალური საკითხების წამოყენება იქნება მომენტი გამთიშველი, ფრონტის დამანგრეველი და მტრის საქმის გამკეთებელი. ეს იქნებოდა ნაციონალური საკითხის პირველ რიგიდან მეორეში გადატანა, ხოლო მეორე რიგის—რეჟიმის საკითხის კი პირველ რიგში წამოყენება. ეს კი ნიშნავს იმავე დროს მათ გადაბარგვას მოსკოვისაკენ, როგორც კი იქ მათთვის ხელსაყრელი რეჟიმი დამკვიდრდება.

რედაქციისაგან

რედაქცია სთხოვს ავტორებს, რომელნიც წერილებს ფსევდონომის ხელმოწერით აგზავნიან, ამავე დროს აცნობონ მას მათი ნამდვილი სახელი და გვარი. წინააღმდეგ შემთხვევაში წერილები არ დაიბეჭდება.

ახალი წიგნი

გამოვიდა ამხ. გრ. ურატაძის წიგნი:

საზოგადოებრივი მოძრაობა საქართვე-ში

წიგნი დაყოფილია თავებათ: შესავალი, იდეური და ლიტერატურული აღორძინება (მე-60 წლები), პოლიტიკური ბრძოლის დაწყება (მესამე დასი და 1905 წ. რევოლიუცია), დუმის ხანა, თებერვლის დიდი რევოლიუცია, ამ.-კავკასიის კომისარიატი და სეიმი, საქართველოს დამოუკიდებლობა.

ფასი პარიზში 10 ფრ. უცხოეთში 15 ფრ.

შეძენა შეიძლება შემდეგი მისამართით:

M r Ketadze. 5, rue des Gobelins. Paris.

განცხადება

ქართველ ყოფილ მხედართა საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს. რომ საფრანგეთის კანონების თანახმად, 1934 წელში გაცემულ საწევრო ბარათებს ვადა გაუვიდათ და გაუქმებული არიან.—ბარათების გამოსაცვლელად საჭიროა ამა წლის 5 აპრილამდე წარმოდგენილი იქმნეს გამგეობაში: 1) ძველი საწევრო ბარათი, 2) ერთი სურათი, 3) 1939 წლის საწევრო გადასახადი 20 ფრ. (უმუშევართათვის 5 ფრ.). მისამართი: კოლონელ ცხაკაია, 55 ავენიუ ედუარდ ვაიან, ბულონ სიურ სენ, 2—3 საათამდე ყოველ დღე. საზ. თავმჯ-რე ვ. ცხაკაია, მდივანი ა. ზურაბიშვილი.

„ბრძოლის ხმა"-ს ექსპედიცია

სთხოვს ხელის მომწერთ მათზე დარჩენილი გაზეთის ფული გამოგზავნონ შემდეგი მისამართით:

M-r Eradzé
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

ამავე მისამართით შეიძლება გაზეთის გამოწერა.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuvill*

Le Gérant : René Toussaint.